პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

ს. ს. ს. რ. საქ. [illegible] საბჭო
საინფორმ[illegible]

დღიური

- გაიხსნა ინგლისის კომპარტიის ყრილობა.
- ამუნდსენის შესახებ არავითარი ცნობები არ არის მიღებული.
- მაროკოში მოელიან დიდ აჯანყებას ფრანგების წინააღმდეგ.
- საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ მიიღო 1925 წლის ბიუჯეტი.
- ნორვეგიაში მოელიან მთავრობის გადადგომას.
- რურის ოლქში მწარმოებლებს განზრახვა აქვთ შეამცირონ შრომის ხელფასი.

სამშაბათი, 2 ივნისი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 124 (1279)

სამომხმარებლო კოოპერაციის გაჯანსაღებისათვის

სამომხმარებლო კოოპერაციას საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქვეყნის საერთო აღებ-მიცემობაში, საქონლის ტრიალში. მაგრამ თავის სავაჭრო ოპერაციებს იგი ეწევა, მეტ წილად, არა საკუთარი საშუალებებით. იგი დავალიანებულია სახელმწიფო მრეწველობისა და ბანკების მიმართ. კრედიტისათვის კოოპერაცია იხდის საგრძნობ პროცენტებს. ეს ადიდებს ზედნართ ხარჯებს და საქონელს აძვირებს. აქედან სამომხმარებლო კოოპერაციის ძირითად ამოცანას შეადგენს—მუშაობის გაფართოვება მხოლოდ საკუთარი თანხების დაგროვების მიხედვით.

ამ ამოცანის განსახორციელებლად სამომხმარებლო კოოპერაციამ პირველ ყოვლისა უნდა მოიხვეჭოს გლეხობის ფართე მასების სრული ნდობა. ამისათვის კი, სხვათა შორის, საჭიროა კოოპერაციის ხელმძღვანელ ორგანოების არჩევის თავისუფლების ნამდვილი უზრუნველყოფა. ამ არჩევნებში პარტიულ და საბჭოთა ორგანოების მხრით ადმინისტრატიულ ჩარევას ადგილებზე არამც და არამც არ უნდა ჰქონდეს ადგილი.

შემდეგ, სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს სამომხმარებლო კოოპერაციის ერთ მავნე სენს—მომხმარებლისადმი დაუდევარ დამოკიდებულებას. კოოპერატივის თანამშრომელნი თავისი თავაზიანი მოპყრობით უნდა იზიდავდენ და აინტერესებდენ მოსახლეობას.

გარდა ამისა, ბოლო უნდა მოეღოს უთავბოლოდ საქონლის ნისიად გაცემას კოოპერატივის წევრებზე, ხელმძღვანელ ორგანოების წევრებზე და თანამდებობის პირებზე. აქ ბევრგან ვხვდებით ნათლი-მამობას, რაც უკმაყოფილებას იწვევს მოსახლეობაში. მასთან ნისიას კოოპერატივს ხშირად თავის დროზე არ უბრუნებენ, რაც აფერხებს მის საქმიანობას.

კოოპერატივის დანიშნულებას, თავის თავად ცხადია, შეადგენს თავის წევრების მოთხოვნილებათა რაც შეიძლება ფართოდ დაკმაყოფილება. ეს კი შესაძლებელია უწინარეს ყოვლისა მაშინ, როცა კოოპერატივის გამგეობა დაამყარებს მჭიდრო კავშირს წევრთა მასსასთან. ხელმძღვანელი ორგანოები განსაკუთრებული ყურადღებით უნდა ეკიდებოდენ ცალკე წევრთა განცხადებებს და საყვედურებს. წევრთა ყველა საქმიან წინადადებებს უნდა იხილავდენ უმოკლეს დროში. ამ გზით მომხმარებელი მასსა თანდათანობით ჩაებმება კოოპერაციის მუშაობაში.

ყურადღება უნდა მიექცეს გლეხობისათვის მიუცილებელ საქონლის შერჩევის საკითხს. ამისათვის საჭიროა გლეხის მოთხოვნილების და გემოვნების ცოდნა. შესაფერი საქონლის მიწოდება გლეხობისათვის დღეს მით უფრო შესაძლებელია, რომ თანდათან ისპობა იძულებითი ასორტიმენტის პრაქტიკა, რომელსაც ადგილი ჰქონდა სხვა და სხვა ტრესტების მოქმედებაში.

კოოპერაციასთან ხალხის დასაახლოვებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საანგარიშო კრებებს. უნდა იქნას უარყოფილი დამკვიდრებული ცუდი ჩვეულება—საანგარიშო კრებების მოწვევისა მხოლოდ ხელახალი არჩევნების წინ. უნდა შევიგნოთ, რომ საანგარიშო კრებებს დიდი აღმზრდელობითი-სააგიტაციო მნიშვნელობა აქვთ. რაც უფრო ხშირია ასეთი კრებები, მით უფრო იზრდება მოსახლეობის ნდობა კოოპერაციის ხელმძღვანელ ორგანოებისადმი, მით უფრო ებმება იგი კოოპერაციის საქმიანობაში.

სარევიზიო კომისია თავის მხრივ უნდა გახდეს კონტროლის ნამდვილ ორგანოდ. ამ ამოცანის სავსებით განხორციელებას ის შესძლებს მხოლოდ კოოპერატივის წევრების დახმარებით. ამიტომ უკანასკნელთა ჩაბმა კოოპერატივის კონტროლის საქმეში უნდა შეადგენდეს სარევიზიო კომისიის ერთერთ მოვალეობას.

უაღრესი მნიშვნელობა აქვს ბრძოლას **კოოპერატივის ქონების გაფლანგვასთან. სახალხო** ქონების გაფლანგვა, მითვისება გახშირდა ბოლო ხანებში; ამას ვამჩნევთ კოოპერაციის **პრაქტიკაშიაც. ეს კი მას** უკარგავს ნდობას გლეხთა მასსებში. თავის თავად ცხადია, რომ კოოპერატივის ხელმძღვანელი ორგანოები პასუხისმგებელი არიან თავის ამომრჩეველთა წინაშე ყოველგვარი ბოროტმოქმედებისათვის. ისინი საჯაროდ უნდა იქნან ასეთ შემთხვევაში გასამართლებულნი.

სხვათა შორის, ასეთი ზომებით ჩვენ მოვახერხებთ კოოპერაციის გარშემო გლეხობის შემოკრებას და თვით კოოპერაციის მუშაობის გამოცოცხლება-გაჯანსაღებას.

თემის ბიუჯეტის გარშემო *)

„კომუნისტი“-ს 118 და 120-№№-ში მოთავსებული **იყო ამხ. დ. თოფურიძის** წერილები, სადაც ავტორი ეხება მეტად სერიოზულ საკითხს, რომელიც ამ მოკლე დროში უნდა გაირჩეს **სათანადო ორგანოებში.** ეს საკითხია ადმინისტრატიული ერთეულების ბიუჯეტი.

ავტორი ემხრობა იმ აზრს, რომ მიზანშეწონილი არის სათემო ბიუჯეტების შექმნა. ის ეხება შემოსავლის წყაროებს, რომელზეც უნდა ემყარებოდეს ეს ბიუჯეტი. ჩვენ ვეთანხმებით ავტორს სათემო ბიუჯეტის შემოღებაზე. მხოლოდ ცოტა გაუგებრობას იწვევს ეს საშემოსავლო წყაროები. დ. თოფურიძე ამბობს: „ადგილობრივ ფინანსების კარგ მცოდნეთა წრეებში ფიქრობენ, რომ ამ გაჭირვებიდან შეიძლება თემი გამოიყვანოს ნაციონალიზაციაქმნილ ქონებებმა და მამულებმა, (სახნავ-სათესავი, შენობები, წისქვილები და სხვ.), რომელთაც რესპუბლიკანური ან სამაზრო მნიშვნელობა არა აქვთ და დღეს კერძო პირების ხელშია და ბევრ შემთხვევაში დაქსაქსულია, ეს წყაროები იმდენათ დიდია, რომ მათ საშვალებით შეიძლება მდგომარეობა გაჯანსაღდეს. თემის ინტერესები კერძო პირის ინტერესებზე მაღლა დგას და უკანასკნელმა პირველს ადგილი უნდა დაუთმოს“.

აქ არის გაუგებრობა. ავტორი საკითხს ეხება „თეორეტიულათ“ და ჩვენი ცხოვრების სინამდვილეს, პრაქტიკას ანგარიშს სრულიადაც არ უწევს. საქმე იმაშია, რომ მის მიერ აღნიშნული საშემოსავლო წყაროები სოფლად არც ისე მნიშვნელოვანია, როგორც მას და მის მიერ ნახსენებ „მცოდნე წრეებს“ წარმოუდგენია.

დავიწყოთ თავიდან. შევეხოთ მამულებს. როგორც ვიცით ჩვენში საერთოთ მიწის სივიწროე არის და მიწის რეფორმის დროს დაკმაყოფილებულ იქნა სრული ნორმით მხოლოდ 40 პროც. გლეხობისა, ხოლო დანარჩენი 60 პროც. კი არის მიწის მცირე მქონე, ასე რომ ფონდში **მიწებიც არ არის და ასეთი რომ იყოს, მისი დატოვება ყოვლად შეუძლებელია. მაშ რომელ საფონდო მიწებზეა ლაპარაკი?** თუ ავტორი ეხება **იმ მამულებს, რომელიც** აქაიქ არის აღმასკომის განკარგულებაში და მას აღმასკომი ან სხვა ადგილობრივი ორგანიზაცია ამუშავებს, მას მხოლოდ და მხოლოდ აქვს კულტურულ-საჩვენებელი მნიშვნელობა, და ისინი არამც თუ შემოსავალს იძლევიან, არამედ, პირიქით მოითხოვენ დახმარებას.

გადავიდეთ შენობებზე. მართლა ბლომათ არის ჩამორთმეული შენობები, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ შენობების ერთ ნაწილს სჭირდება კაპიტალური რემონტი, რომლის საშუალება თემ-აღმასკომებს არ ექნებათ და კიდეც რომ იქნეს და ეს მუშაობა შესრულდეს—საკითხავია, მოგვცემენ თუ არა ისინი რაიმე შემოსავალს სოფლათ.

ამას გარდა უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ჩვენი გლეხობის ერთი ნაწილი განიცდიდა უბინაობის მხრივ დიდს გაჭირვებას და მათ უკვე გადაეცათ საცხოვრებლათ ნაწილი შენობებისა ე. წ. „კუპჩა-კრეპოსტით“, როგორც ისინი იძახიან, და იქიდან მომავალში არაფერი შემოსავალი იქნება. ნაწილი კი, სადაც შესაძლებელია, გამოყენებულია სხვადასხვა დაწესებულებისათვის როგორც მაგალითად: სკოლები, საექიმო პუნქტები, ქოხ-სამკითხველოები, კოოპერატივები, კლუბები, სახალხო სასამართლოები, აფთიაქები, საგრონომო პუნქტები, აღმასკომი, მილიცია და სხვა. ასე, რომ არც ესენი მისცემენ შემოსავალს. ამ რიგათ საერთო შენობები, როგორც ავტორიც დაინახავს, თემ-აღმასკომებიდან მოითხოვენ ხარჯს რემონტის გაკეთების სახით და შემოსავალს კი არაფერს მისცემენ.

დაგვრჩა წისქვილები. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში არ არის ისეთი წისქვილები, რომლებიც დიდი სამრეწველო ღირებულებისა იყვნენ. ისინი სრულიად უბრალონი არიან და, როგორც ასეთები, დიდს შემოსავალსაც არ იძლევიან. ამას გარდა თუ კი ზოგან აღმასკომს ან გლეხკომს აქვს თავის განკარგულებაში წისქვილები, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იმას ამუშავებენ, როგორც საშემოსავლო წყაროს, არამედ ამით ისინი უწევენ მეტოქეობას კერძო მეწისქვილეებს, რომლებიც ფუთის დაფქვაზე ღებულობენ სამ გირვანქა მინდს. აღმასკომის და გლეხკომის წისქვილები კი ღებულობენ ფუთზე გირვანქას ან გირვანქა ნახევარს. ამას გარდა უღარიბეს გლეხობას უფქვავენ სრულიად უფასოთ და მეტი, მას დახმარებასაც უწევენ. ამის შემდეგ თუ რაიმე მცირე შემოსავალი დარჩება, იგი სჭირდება იმავე წისქვილის შეკეთებას. მაშასადამე ამ შემოსავლის წყაროზე მითითებაც არ ღირს.

მაშ სად უნდა ვეძიოთ გამოსავალი გზა?

ეგ საკითხი ძლიერ სერიოზულია. ჩვენის აზრით საჭიროა მოეწყოს მაზრის აღმასკომთა წარმომადგენლების თათბირი, სადაც ამხანაგები შესაფერი მასალებით მივლენ. ეს მასალები იქნება უტყუარათ აღებული ადგილობრივ სინამდვილიდან და მათ მიერ მივალთ რაიმე დასკვნამდე. [illegible] მალე მოეწყობა ასეთი თათბირი, [illegible] უფრო მოგებული ვიქნებით.

ვასო ქურდაძე

---

*) დისკუსიის წესით.

ინგლისის კომპარტიის ყრილობა

კომპარტიის გავლენა ინგლისის მუშებში თანდათანობით იზრდება.

ყრილობამ მისალმება გაუგზავნა ბულგარელ რევოლიუციონერებს და კოლონიების დაჩაგრულ ერებს

მთავრობამ აკრძალა პიონერთა დემონსტრაცია, რომელიც მაინც გაიმართა

წითელი დროშა ინგლისის კომპარტიას—საბჭოთა მეშვიდე ცხენოსანი დივიზიისაგან

მისალმება ბულგარელ რევოლიუციონერებს

გლაზგო 31 მაისი. გაიხსნა ინგლისის კომპარტიის ყრილობა.

ყრილობა გახსნა **გარრი პოლიტმა**, რომელმაც წინადადება მისცა დამსწრეებს გაეგზავნათ ბულგარეთის კომპარტიისათვის მისასალმელი დეპეშა.

ყრილობა თავის დეპეშაში გამოსთქვამს საბოლოო გამარჯვების იმედს და სიამაყეს ფრიდმანის გმირული სიკვდილის გამო.

კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა დასჯილ ამხანაგების ხსოვნას.

ამხ. გარრი პოლიტის მოხსენება

ორი მნიშვნელოვანი ფაქტი

პოლიტმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ მიმდინარე ყრილობა გაიხსნა ინგლისის უდიდეს სამრეწველო ცენტრში—გლაზგოში; „დღეს,—სთქვა პოლიტმა,—კომუნიზმი ინგლისში წარმოადგენს უკვე არა აჩრდილს, რომელიც თან სდევს კაპიტალიზმს, არამედ რეალობას, რომელიც საფრთხეს უმზადებს კაპიტალისტური წესწყობილების არსებობას. უკანასკნელი კონგრესის შემდეგ ადგილი ჰქონდა ორ დიდ მოვლენას; მუშათა მთავრობის ჩამოგდებას და **პროფმოძრაობის საერთაშორისო მთლიანობის საქმის გაუმჯობესებას**“.

მუშათა მთავრობის დაცემასთან დაკავშირებით, პოლიტი შეეხო „ზინოვიევის წერილს“. მან ხაზი გაუსვა იმ კონტრასტს, რომელიც არსებობს ამ საკითხის გამორკვევაში ტრედ-იუნიონების გენერალურ საბჭოსა და მაკდონალდის ნაბიჯებს შორის: ტრედ-იუნიონების გენერალური საბჭო ამჟღავნებდა ამ დოკუმენტების სიყალბეს, ხოლო მაკდონალდი ბრმასვით უჭერდა თავის სამინისტროს მოხელეებს.

„კრიტიკული დამოკიდებულება მუშათა მთავრობისადმი კომპარტიის **მხრივ, სთქვა პოლიტმა,** სავსებით საფუძვლიანია არა მარტო ამ საკითხის გამო, არამედ იმიტომაც, რომ ყველა საკითხები, რომლებიც იწვევენ მუშების გალაშქრებას ეხლანდელი კონსერვატორული მთავრობის წინააღმდეგ, არსებობდენ მუშათა მთავრობის დროსაც, მაგალითად, პოლიტიკა უმუშევრობის საკითხში, ადგილობრივ მცხოვრებ მუშების ჩაგვრა და სხვ. აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ **კომპარტია ხელს ვერ აიღებს მუშათა პარტიის ლიდერების და მუშათა მთავრობის სასტიკ კრიტიკაზე, თუნდაც ეს კრიტიკა ჯერ ცნობით იყოს არაპოპულიარული, რადგან, ბოლოს და ბოლოს, მუშათა კლასი შეიგნებს, რომ კომპარტია იყო მისი საუკეთესო დამცველი.**

პროფმოძრაობის მთლიანობა

პროფმოძრაობის მთლიანობის საკითხის შესახებ პოლიტმა განაცხადა, რომ ამ საკითხის მთელს დიდ მნიშვნელობას მოწმობს თუნდაც ის გარემოება, რომ მის წინააღმდეგ ასე სასტიკად ილაშქრებს ბურჟუაზიული პრესა. კომპარტია ესალმება ამ საქმეში მიღწეულ წარმატებებს და მომავალშიაც გასწევს აგიტაციას იმ მსოფლიო კონგრესის მოსაწვევად, რომელმაც უნდა გააერთიანოს ყველა პროფკავშირები ერთ ორგანიზაციაში.

იერიშები კომპარტიის წინააღმდეგ

შეეხო რა პარტიის მუშაობას, პოლიტმა სთქვა: „პოლიტიკური იერიშები ბურჟუაზიის და მაკდონალდის მხრივ ძალიან გაძლიერდა. რამოდენიმე რენეგატი გავიდა პარტიიდან, მაგრამ მათ ვერ გაიყოლიეს თან მუშები, და პარტია კი ასეთ მერყევ ელემენტების ჩამოშორებით კიდევ უფრო გაძლიერდა. პარტიის ორიენტაცია საქარხნო წარმოებებზე წარმოადგენს ამჟამად უდიდეს ნაბიჯს, რომელიც ამტკიცებს ჩვენს გავლენას მუშათა მასებს შორის“.

შეეხო რა იმ წარმატებებს, რომელთაც მიაღწიეს საფრანგეთის და გერმანიის კომპარტიებმა მიუხედავად ყველა რეპრესიებისა, პოლიტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთავრობის მიერ მოძმე კომპარტიების დელეგატებისათვის ინგლისში ჩამოსვლის აკრძალვა ვერ შეაჩერებს კომუნიზმის აბობოქრებულ ტალღებს. „კაპიტალიზმის სტაბილიზაცია,—სთქვა პოლიტმა,—მოასწავებს ახალ ომებს, ამჟამად მარტო კომუნისტური პარტია აწარმოებს ანტიმილიტარისტულ პოლიტიკას“.

სალამი კოლონიალურ ერებს.

შემდეგ პოლიტი შეეხო კოლონიალურ ხალხთა აჯანყებებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ. მან წინადადება მისცა ყრილობას გაუგზავნოს ამ კოლონიალურ ხალხებს მისასალმებელი დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია: **„თქვენი მტრები—ჩვენი მტრებია“**. პოლიტმა სთქვა: „შეუძლებელია იყო პატიოსანი მუშა და ამავე დროს მხარს უჭერდე იმპერიალიზმს. სოციალიზმი ვერ ეგუება ინგლისის იმპერიის შემდეგ არსებობას“.

პოლიტი შეეხო რკინისგზელების, ტრანსპორტელების, მელითონეების და სამთო-მადნო მუშების პროფკავშირთა კონფერენციის მოწვევის საკითხს. მან სთქვა, რომ თუ ეს კონფერენცია არ მიემხრობა მუშების გაერთიანებულად გამოსვლას, მახლობელ წლებში ჩვენ ვიქნებით უაღრეს კატასტროფიულ ამბების მოწამენი.

პოლიტმა აღნიშნა, რომ ყველა მერყეობათა შემდეგ მემარცხენე ფრთის პოზიცია კიდევ გაურკვეველი რჩება. კომპარტიას კი სურს შეკავშირებული იქნეს მემარცხენე ფრთასთან და ის გასწევს მუშაობას იმისათვის, რომ მისცეს მას სწორი რევოლიუციონური მიმართულება და ჩააბას ახალი წევრები მასიურ კომპარტიაში, რომელმაც უნდა წაიყვანოს მუშათა კლასი საბოლოო მიზნისაკენ—ძალაუფლების ხელში ჩაგდებისაკენ.

მისალმებები

უმუშევართა სახელით.

შემდეგ ყრილობას მიესალმა უმუშევართა ნაციონალური კავშირის მდივანი დუგლასი, რომელმაც აღნიშნა, რომ **კომპარტია არის ერთადერთი პარტია, რომელმაც მიუხედავად მისი დევნისა, აქტიური მონაწილეობა მიიღო უმუშევართა ბრძოლაში.**

კომკავშირის წარმომადგენელის გამოსვლა.

ყრილობას კომკავშირის სახელით ესალმება **რესტი**, რომელიც აცხადებს, რომ კომკავშირის, როგორც კომპარტიის რევოლიუციონური **რეზერვის** როლი უაღრესად დიდ მნიშვნელობას ღებულობს ამჟამად, როცა ადგილი აქვს ახალ მერყეობას ახალგაზრდობას შორის. „კომკავშირის მომავალი ყრილობა, რომელიც უნდა შესდგეს ივლისში, იქნება აგრეთვე ბოლშევიზაციის ყრილობა“,—სთქვა რესტმა.

მისალმება კანადის კომპარტიისაგან

კანადის კომპარტიის ცეკას წევრი **მორიარტი** ესალმება ყრილობას და აღნიშნავს, რომ ერთნაირ პოლიტიკას აწარმოებენ კანადის და ინგლისის მთავრობები, რომლებიც ხელს უწყობენ ემიგრაციას ინგლისიდან, მიუხედავად იმისა, რომ კანადაში უმუშევრობა საშინელ ფორმებს ღებულობს. მორიარტიმ აღნიშნა, რომ **ამ პოლიტიკის ერთადერთი მიზანი არის იაფი მუშა-ხელის შოვნის უზრუნველყოფა.**

გლაზგოს ქალაქის თვითმართველობის მისალმება

დამოუკიდებელ მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთის ცნობილი წევრი—მღვდელი **რიჩარდი** ესალმება ყრილობას გლაზგოს ქალაქის თვითმართველობის სახელით.

პიონერთა დემონსტრაცია

მთელ რიგ სხვა დელეგატების გამოსვლის შემდეგ სხდომის დარბაზში გაშლილი დროშით, მუსიკით და სიმღერით შემოდის პიონერთა რაზმი. ყრილობის წევრები ფეხზე დგებიან. ყრილობაზე გამოდის 12 წლის პიონერი, რომელიც აცხადებს, რომ **ადგილობრივმა ხელისუფლებამ აკრძალა პიონერთა დემონსტრაცია, მაგრამ ეს აკრძალვა მათ კიდევ უფრო მეტ ძალას მატებს.**

ქალიშვილი-პიონერი სთხოვს ყრილობას პროტესტი განაცხადონ იმის წინააღმდეგ, რომ პიონერებს აუკრძალეს ქუჩებში დემონსტრაციების გამართვა, როცა ამის ნება აქვთ ბოისკაუტებს.

საკლატვალამ აღუთქვა მას, რომ შეასრულებს მის თხოვნას; ამის შემდეგ პიონერები გავიდენ დარბაზიდან ინტერნაციონალის მღერით.

საჩუქარი სამარის მე-7-ე ცხენოსანთა დივიზიისაგან

გედესმა და გრინოკმა, რომელნიც ეხლახან დაბრუნდენ საბჭოთა კავშირიდან, **გადასცეს ყრილობას დროშა, გამოგზავნილი სამარის მე-7-ე ცხენოსანთა დივიზიის ნაწილისაგან.** ყრილობის წევრები დგებიან და დიდი აღფრთოვანებით მღერიან წითელი არმიის ჰიმნს.

ინგლისის კომპარტიის ც. კ. პოლიტიკური ანგარიში

ამხ. კე[illegible] ხსე[illegible]

ყრილობის [illegible] სხდომაზე კემპბელმა პარტიის ცეკას სახელით გააკეთა პოლიტიკური მოხსენება. მოხსენებაში აღნიშნულია განვლილი წლის მნიშვნელოვანი მოვლენები პარტიის პოლიტიკურ ცხოვრებაში: კამპანია დოუესის გეგმის წინააღმდეგ, საპროტესტო კვირეულის ჩატარება ომის წინააღმდეგ, მუშაობა ახალშენებში და მუშათა პარტიის ყრილობა, რომლიდანაც კომუნისტები გამორიცხული იქნენ. ამ ხნის განმავლობაში მეტად ღირს შესანიშნავ ფაქტს წარმოადგენს მუშათა პარტიის რეზოლიუციის დამარცხება მსხვილ სამრეწველო ცენტრებში, **რაც შედეგია იმ პოპულიარობის, რომელიც მოიპოვა კომპარტიამ მუშებს შორის უკანასკნელი სამი დღის შეუპოვარი მუშაობის შემწეობით.**

ზინოვიევის წერილის შესახებ კემპბელმა განაცხადა, რომ „უკეთესი იქნებოდა ყოველმხრივ იმ მოტივების განხილვა, რომლითაც ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობდა მაკდონალდი, ვინემ გარეშე საქმეთა სამინისტროს იმ მოხელეების მოტივების განხილვა, რომლებიც, ბოლოს და ბოლოს, იცავენ მხოლოდ საკუთარი კლასის ინტერესებს“.

შეეხო რა უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებს, კემპბელმა განაცხადა, რომ პარტიული დროშა არასოდეს ასე მაღლა არ ყოფილა აწეული, ვიდრე ამ პერიოდში არჩევნების შემდეგ პარტიის მთავარი ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ მუშების ცალ-ცალკე ეკონომიური გამოსვლები მოგვექცია ერთ შეკავშირებულ ბრძოლაში, რომელიც გადაიქცევა პოლიტიკურ ბრძოლად.

უკანასკნელმა კამათმა დაამტკიცა, რომ პარტია სავსებით ერთსულოვანია და მის რიგებში ადგილი არა აქვს სერიოზულ უთანხმოებას. ცეკას საერთო პოლიტიკა ყრილობამ მოიწონა.

კომპარტიის საპარლამენტო ფრაქციის მოხსენება

კომპარტიის საპარლამენტო ფრაქციის სახელით მოხსენება გააკეთა **საკლატვალამ.** მის მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ ყოველივე დაბრკოლებები, რომელიც წინ ეღობება მუშათა ოპოზიციას პარლამენტში, არის მუშათა მთავრობის პოლიტიკის შედეგი; ეხლანდელი კონსერვატიული მთავრობა მხოლოდ განაგრძობს ამ პოლიტიკას. პარლამენტის მემარცხენე ჯგუფი სინდისიერად და გულწრფელად იქცევა, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი პოზიცია იწყება და თავდება მარტო ცარიელი სიტყვიერი გამოსვლებით და არ არის ჩამოყალიბებული ორგანიზაციულ ფორმაში. მას ხელფეხს უბორკავს ტრადიციები მემარჯვენე ფრთის, რომელთანაც ის ვერ ახერხებს კავშირის გაწყვეტას.

ყრილობამ მოიწონა საკლატვალას მოხსენება.

[illegible]

ახალი პარტიული მუშაკები სოფელს

სოფლის პარტუჯრედი არის ხელმძღვანელი აღმშენებლობის ყოველ დარგში სოფლად. მაგრამ სოფლის უჯრედის შემადგენლობა ბევრგან მოისუსტებს როგორც პოლიტიკური შეგნების, ისე საქმიანი ცოდნის მხრივ. ამიტომ გლეხობას იგი ვერ უწევს სათანადო ხელმძღვანელობას. დღევანდელი ჩვენი პოლიტიკა კი გულისხმობს მოქნილობას, ახალ მიდგომას გლეხობისადმი, რაიც მოითხოვს სოფლის უჯრედების მომზადებას და მათ შევსებას ახალი ძალებით. მშრომელი გლეხობიდან მოწინავე პირები უნდა იქნენ მიღებული პარტიაში. ამით სოფლის უჯრედი გაძლიერდება და უფრო ფართე კავშირს გააბამს უპარტიო მასსასთან.

მაგრამ ეს არ კმარა. სოფლის უჯრედი ჯერ-ჯერობით ვერ დადგება თავის დანიშნულების სიმაღლეზე, თუ მას ქალაქიდან არ მივაშველეთ გამოცდილი მუშაკები. მე-14-ე პარტკონფერენციამაც დაადგინა—ა/წ. 1 სექტემბრისათვის გაიგზავნოს ქალაქიდან სოფლის უჯრედების გასაძლიერებლად საიმედო მუშაკების ახალი კადრი 6.000 კაცი.

როგორი წესით და ვინ უნდა გაიგზავნოს სოფლად? ამ საკითხს გაზ. „პრავდა“-ში ეხება ამხ. კვირინგი:

„ასეთი მტკიცე კადრის შექმნა ჩვენ, პირველ ყოვლისა, შეგვიძლია იმ ამხანაგებიდან, რომელნიც სოფელში სამუშაოდ მიდიან ნებაყოფლობით, იმ მაღალი პასუხისმგებლობის შეგნებით, რომელიც მათ ეკისრებათ. კომუნისტი, რომელიც თანხმდება სოფელში წავიდეს 6 თვის, ერთი წლის შემდეგ მის უკან გამოწვევის პირობით, ვერავითარ არსებითი სარგებლობას ვერ მოუტანს პარტიული მუშაობის გაუმჯობესების საქმეს. ქალაქის ორგანიზაციების ამოცანას შეადგენს, რათა უახლოეს პერიოდის განმავლობაში ჩაატარონ ფართე კამპანია **მოხალისეების შესაგროვებლად სოფლისათვის**“.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ მოღონიერებასთან ერთად სოფლად მომუშავეებისათვის თანდათან იქმნება არსებობის ასე თუ ისე რიგიანი პირობები, რომელნიც უზრუნველყოფენ ნორმალურ მუშაობის შესაძლებლობას. ეს გარემოება უეჭველად გაზრდის სოფელში გამგზავრების მსურველთა რიცხვს. მაგრამ არა ყველა მოხალისე გამოდგება სოფლად მუშაობისათვის. უნდა გავგზავნოთ ისეთი ამხანაგები, რომელნიც შესძლებენ ახალი სიოს შეტანას მუშაობაში, გლეხობისადმი სწორ მიდგომას. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გამოიჩინონ განსაკუთრებული სიფრთხილე სოფლად გასაგზავნ ამხანაგების შერჩევაში. ამასთან საჭიროა მათი წინასწარი შემოწმება და და მომზადება. ამხ. კვირინგი ამბობს:

„სოფლად გასაგზავნი მუშაკები უნდა იქნან შერჩეული უაღრესი დაკვირვებით. სოფლად გაგზავნის წინ საჭიროა ყველა ისინი გავაცნოთ იმ პრაქტიკულ ღონისძიებებს, რომელთაც ატარებენ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები. ვინც სოფელში მიდის, ის იმ თავითვე უნდა იყოს გაცნობილი ყველა იმ უმთავრეს კონკრეტულ ამოცანებს, რომელნიც დგანან მის წინაშე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ სოფელში მიმავალი მუშაკი **კარგად იყოს** გაცნობილი ძირითად კანონებს (მიწის კოდექსს, ტყის კოდექსს, სამოქალაქო კოდექსს და სხ.), აგრეთვე უკანასკნელად გამოცემულ უფრო მნიშვნელოვან დეკრეტებს (სასოფლო-სამეურნეო გადასახადზე, მუშახელის დაქირავებაზე და სხ.). სოფელში ჩასულ ყველა მუშაკს გლეხი სინჯავს პირველ ყოვლისა ამ დარგში, და თუ აქ მან გამოცდა დაიჭირა, თუ იგი სოფლად გამოჩნდა როგორც კანონების გონიერი განმმარტებელი, ის იმ თავითვე უზრუნველჰყოფს თავის პოპულიარობას“.

კონფერენციის გადაწყვეტილება სოფლად ექვსი ათასი ახალი მუშაკის გაგზავნის შესახებ მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯია სოფლის პარტუჯრედების მუშაობის და, მაშასადამე, მთელი სოფლის საზოგადოებრივი ცხოვრების გამოსაცოცხლებლად. მხოლოდ საჭიროა ჩვენმა ქალაქის ორგანიზაციებმა ეხლავე დაიწყონ კამპანია სოფელში წამსვლელ მოხალისეთა მოსაკრებად, მათ შესარჩევად და მოსამზადებლად.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

რუს თეთრგვარდიელებს განზრახული ჰქონდათ ამხ. რაკოვსკის მოკვლა.

ახლო ხანში პარიზში დაიწყება მოლაპარაკება საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის კონფერენციის მოსაწვევად.

ჩინეთში სურთ მოაგვარონ კონფლიქტი, რომელიც წარმოიშვა შავრაზმელ გენერლების თავგასულობის წყალობით.

ამხ. რაკოვსკის მოკვლის განზრახვა

ლონდონი, 31 მაისი. „ივნინგ ნიუზ“ იტყობინება, რომ ლონდონის საიდუმლო პოლიციის სამმართველომ მიიღო დაწვრილებითი ცნობები იმ შეთქმულების შესახებ, რომლის მიზანი იყო რაკოვსკის მოკვლა. **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთმა სავაჭრო აგენტმა ჰოლანდიაში ამ შეთქმულების შესახებ გაიგო სრულიად შემთხვევით. მან ყური მოჰკრა ორი რუსი ემიგრანტის ლაპარაკს ამის შესახებ. ეს ემიგრანტები დიდ როლს თამაშობდენ თეთრების არმიაში.**

ამჟამად საბჭოთა კავშირის საელჩოს შენობას იცავენ შეიარაღებული პოლიციელები.

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების წინ

საუბარი ვიქტორ დალბიესთან

პარიზი. 31 მაისი. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს რუსეთის საქმეების სათათბირო კომიტეტის ახალმა თავმჯდომარემ, ყოფილმა მინისტრმა ვიქტორ დალბიემ განაცხადა, რომ კომიტეტის მიზანია იმ საკითხების შესწავლა, რომლებიც დაკავშირებულია პოლიტიკურ და, განსაკუთრებით, ეკონომიურ და ფინანსიურ ურთიერთობასთან საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის, და აგრეთვე **ოფიციალური მოლაპარაკების წარმოება საბჭოთა მთავრობასთან საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ოფიციალური კონფერენციისათვის ნიადაგის მოსამზადებლათ.**

ვალების საკითხი, დალბიეს აზრით, არ შეიძლება გადაწყვეტილი იქნეს სხვა საკითხებისაგან განცალკევებით, რადგან მისი გადაწყვეტა შედეგი იქნება ურთიერთობის განახლებისა ორივე ქვეყნებს შორის.

დალბიე აღიარებს, რომ **ვრანგელის ფლოტის საბჭოთა კავშირისათვის გადაცემის გაჭიანურება მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს ორივე ქვეყნის საზოგადოებრივ აზრზე** და უთანხმოებას ჰქმნის საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის, ამიტომ დალბიე სურვილს გამოსთქვამს, რომ რაც შეიძლება დაჩქარებით იქნეს გადაწყვეტილი ფლოტის გადაცემის საკითხი.

შემდეგ დალბიემ ის აზრი გამოსთქვა, რომ **საფრანგეთი უნდა გახდეს დასავლეთ ევროპის და საბჭოთა კავშირის სამრეწველო, სავაჭრო და ფინანსიური ურთიერთობის ცენტრათ; მან, ამასთანავე, დაუმატა, რომ მხოლოდ ასეთი ურთიერთობის განვითარების გზით შეიძლება გადაწყვეტილი იქნეს ყველა სადავო საკითხები.**

დასასრულ დალბიე შეეხო საკითხს ანტი-საბჭოთა ბლოკისა და საბჭოთა კავშირის განცალკევების შესაძლებლობის შესახებ და განაცხადა: **„საფრანგეთის არც ერთი პასუხისმგებელი პოლიტიკური მოღვაწე არ არის იმის მომხრე, რომ განცალკევებული იქნეს საბჭოთა კავშირი ანდა გერმანია.** თუ საფრანგეთი იცავს გერმანიის შესვლას ერთა ლიგაში, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მას სურს უზრუნველჰყოს თავისი საკუთარი უშიშროება. **საერთაშორისო მეურნეობის აღდგენა და საერთაშორისო მშვიდობიანობა შეუძლებელია, თუ საბჭოთა კავშირი მონაწილეობას არ მიიღებს საერთო მუშაობაში.**

ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

ამხ. რაკოვსკის წერილი ინგლის-საბჭოთა კავშირის შემარიგებელ საზოგადოების სახელზე

ლონდონი, 31 მაისი. ინგლის-რუსეთის შემარიგებელ საზოგადოების თავმჯდომარემ მიიღო წერილი რაკოვსკისაგან. რაკოვსკი სწერს, რომ **საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივი აზრი თანაგრძნობით შეხვდება საზოგადოების მოღვაწეობას, რომლის უმთავრეს დამსახურებას შეადგენს ის, რომ იგი არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც მხედველობაში იღებს საბჭოთა მთავრობის არსებობის ფაქტს. ჩვენ წინაშე დასმულ საკითხების მოწესრიგება შეიძლება მიღწეული იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინგლისის საქმიანი და ფინანსიური წრეები მზად იქნებიან მხარი დაუჭირონ საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ცხოვრების აღდგენას.**

საბჭოთა კავშირის მტკიცე პოზიცია—მშვიდობიანობის საწინდარი

პეკინი. 31 მაისი. ხარბინის წრეებში დიდი მღელვარებაა იმის გამო, რომ ჩინეთის ხელისუფლებას განზრახული აქვს არ შეისრულოს ბრძანება რკინის გზაზე არასაბჭოთა და არაჩინელ მოქალაქეთა დათხოვნის შესახებ. **მაგრამ ფიქრობენ, რომ საბჭოთა მთავრობის მტკიცე პოზიციის გამო ჩინეთის რეაქციონერები ვერ გაბედავენ საქმე მიიყვანონ სერიოზულ კონფლიქტამდე ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის.**

პეკინში მცხოვრებმა მთელმა რიგმა ამერიკელებმა ინახულეს საბჭოთა საელჩო და გამოსთქვეს აღშფოთება ჩჟან-ძო-ლინის მოქმედების გამო.

იაპონიის ზრახვები.

პეკინი. 31 მაისი. ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრი სცდილობს ზეგავლენა მოახდინოს ჩჟან-ძო-ლინზე, რათა აიძულოს ის უარი სთქვას საბჭოთა კავშირისადმი პროვოკაციულ პოზიციაზე. ჩჟან-ძო-ლინი გაემგზავრა მუკდენიდან პეკინში იმ განზრახვით, რათა აიძულოს მთავრობა მხარი დაუჭიროს საბჭოთა კავშირისადმი შეურიგებელ პოზიციას. ჩჟან-ძო-ლინის მრჩეველი იუ-ჩენ-ხანი ჩავიდა იაპონიაში, რათა მიაღწიოს შეთანხმებას იაპონიის მთავრობასთან და აიღოს სესხი ჩჟან-ძო-ლინის ფინანსების განსამტკიცებლად.

ამხ. კარახანის ნოტა ჩინეთის მთავრობისადმი

პეკინი. 31 მაისი. საბჭოთა სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ჩინეთში, ამხ. კარახანმა ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გაუგზავნა საპროტესტო ნოტა არასრულწლოვან რუს მოწაფეთა ნეჩაევის თეთრ რაზმებში ჩათრევის წინააღმდეგ.

ნოტა აღნიშნავს, რომ თეთრგვარდიელთა აგენტები აცდენენ მოწაფეებს ყალბი დაპირებებით. მოზარდები ამ რაზმებში ჩარიცხვის შემდეგ ტყვეების მდგომარეობაში იმყოფებიან. ამხ. კარახანი მოითხოვს თეთრი რაზმების დაშლას, მოზარდთა დაბრუნებას მშობლებისათვის, მომავალში მოწაფეების ამ რაზმებში ჩაწერის მოსპობას და თეთრგვარდიელთა აგენტების დასჯას.

კულტურული კავშირი უცხოეთთან

მოსკოვი, 1 ივნისი. საზღვარ-გარეთთან კულტურულ კავშირის საზოგადოებამ **აპრილის და მაისის განმავლობაში მიიღო საზღვარ-გარეთიდან 10.000 ტომი საზღვარ-გარეთელი ლიტერატურა.** თითქმის მთელი ლიტერატურა გაიგზავნა პროვინციაში და განაწილებულია უმთავრესად უნივერსიტეტებს, სამეცნიერო დაწესებულებათა და საზოგადოებებს შორის. ახლო მომავალში საზოგადოება შეუდგება იმ წიგნების ახალ დიდ პარტიის განაწილებას, რომელიც საფრანგეთიდან და ამერიკიდან მიიღო.

ომი მაროკოში

იმპერიალისტური საფრანგეთის წინააღმდეგ.

პარიზი, 31 მაისი. ჰავასის სააგენტო ტანჟერიდან იტყობინება, რომ რიფების ბელადის აბდ-ელ-ქერიმის ძმა ჩავიდა შეშუანში, სადაც სცდილობს საფრანგეთის წინააღმდეგ აამხედროს დასავლეთის ზონის ტომები.

600-მდე მეამბოხე თავმოყრილია საერთაშორისო ზონის მახლობლად.

რიფები სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ ესპანელ ავიატორებს.

უკანასკნელი ცნობები

პირველი საბჭოთა გაზეთი სახალინზე

ალექსანდროვსკი, 31 მაისი. გამოვიდა პირველი საბჭოთა გაზეთი „საბჭოთა სახალინი“.

ინგლისის კომპარტიის ყრილობაზე

გლაზგო, 31 მაისი. ინგლისის კომპარტიის ყრილობაზე საორგანიზაციო საკითხების შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ ინგლისში კომპარტიას ჰყავს 5.000-ზე მეტი წევრი, აქედან 1.115 კაცი შევიდა პარტიაში ამ უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში. კანდიდატები არიან 35 პროც. წარსულ წელს კანდიდატების რიცხვი უდრიდა 14 პროცენტს. საქარხნო უჯრედი არის 103, ყველა ესენი მოწყობილია ა. წ. იანვრიდან. პარტია სცემს 40 საქარხნო გაზეთს.

მოხსენების შესახებ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 25 დელეგატმა, ისინი იწონებდნენ პარტიის ცეკას საერთო ხაზს. გამოირკვა, რომ ლონდონში არსებობს 32 საქარხნო უჯრედი, ლონდონის ორგანიზაცია სცემს 22 საქარხნო გაზეთს, რომელთა საერთო ტირაჟი უდრის 5.500 ცალს. საერთოდ უჯრედების გარშემო თავს იყრის 47.000 მუშა.

კომუნისტების დევნა ეგვიპტეში

ლონდონი. 31 მაისი. რეიტერის სააგენტო იუწყება: „ეგვიპტის შინაგან საქმეთა სამინისტრო მეტად ადევნებს თვალყურს კომუნისტების საიდუმლო მოქმედებას. კაიროში ამ უკანასკნელ 8 დღის განმავლობაში დაპატიმრებულია 8 კაცი, ამდენივე—ალექსანდრიაში, სადაც დაიჭირეს სტამბა და სხვა და სხვა საბუთები“.

ჩჟან-ძო-ლინის მოლაპარაკება პეკინის მთავრობასთან

პეკინი, 31 მაისი. ჩჟან-ძო-ლინი ჩავიდა ტიან-ცზინში 4.500 კაცისაგან შემდგარ და (30 ი რაზმის თანხლებით. აქედან ის ჩამოვა პეკინში.

პეკინის მთავრობის წარმომადგენლებიც ჩავიდნენ ტიან-ცზინში ჩჟან-ძო-ლინთან ერთად მთელ რიგ საკითხების განსახილველად და იმისათვის რომ იგი ოფიციალურად მოიწვიონ პეკინში.

ბუჯდენის ჯარები უახლოვდებიან პეკინს. ოთხმა დივიზიამ და ერთმა შერეულმა ბრიგადამ—40.000 კაცამდე უკვე გაიარა ჩინეთის დიდი კედელი.

გაფიცვები ჩინეთში

პეკინი, 31 მაისი. ჩინეთში თანდათან ძლიერდება გაფიცვები. ხანკოუში ინგლის-ამერიკის თუთუნის ქარხნებში გაფიცულია 4.000 მუშა ქალი, რომელნიც მოითხოვენ დათხოვნილ ამხანაგების უკან დაბრუნებას. სუჩოუ ხანკოუში გაფიცულია 10.000-მდე სხვადასხვა წარმოების მუშა. ინგლისის კონსული მოითხოვს ჩინეთის ხელისუფლებისაგან გაფიცვის ჩაქრობას და დამნაშავეთა დასჯას.

25 მაისს იაპონელმა მწარმოებლებმა ცინ-დაოში ქარხნის შენობაში გამოიწვიეს 300 პოლიციელი უკმაყოფილო მუშებისათვის ზედამხედველობის გასაწევად. პოლიციის გამოწვევამ მეტად აღაშფოთა მუშები, რომელთაც შესწყვიტეს მუშაობა. მოხდა შეტაკება პოლიციასთან. დაიჭრა რამდენიმე იაპონელი. მუშებმა ხელში ჩაიგდეს ქარხანა. იაპონიის მთავრობამ თავის ქვეშევრდომთა დასაცავად პორტ-არტურიდან ცინ-დაოში გაგზავნა ერთი კრეისერი და ერთი გამანადგურებელი. 29 მაისს პოლიციამ ხელმეორედ მიიტანა იერიში მუშების მიერ დაკავებულ ქარხანაზე. ისინი გაუძალიანდნენ პოლიციას, რამაც გამოიწვია სროლა. მოჰკლეს 2 მუშა. პოლიციამ დააპატიმრა 30 მუშა. წარმოება შეჩერებულია ყველა ქარხნებში.

მოკავშირეთა ნოტა გერმანიას

ლონდონი, 31 მაისი. ელჩთა კონფერენციამ ერთხმად მოიწონა განიარაღების ნოტის ტექსტი, რომელიც გადაეცემა გერმანიას სამშაბათს, ან ოთხშაბათს.

სხვა და სხვა ამბები

— **ამუნდსენის შესახებ ცნობები არ მოდის.** დღემდე არავითარი ცნობა არ არის მიღებული ამუნდსენის შესახებ. ფიქრობენ ექსპედიციის მოწყობას ამუნდსენისათვის დახმარების მისაშველებლად.

— **მთავრობის კრიზისი ბელგიაში.** ბელგიის ლიბერალების ლიდერმა მაქსმა უარი სთქვა კაბინეტის შედგენაზე.

— **კაშენს და ვაიან-კუტიურიეს არ ათავისუფლებენ.** საკასაციო სასამართლომ განაცხადა, რომ ამნისტია არ ვრცელდება კომუნისტებზე კაშენზე და ვაიან კუტიურიეზე, რომლებიც გაასამართლა გამასწორებელმა ტრიბუნალმა ანტი-მილიტარისტული წერილებისათვის.

— **ლეიპციგის სასამართლოს განაჩენის წინააღმდეგ** ინგლისის პარლამენტის დეპუტატებმა—მუშათა პარტიის წევრებმა ბიუკკონენმა, ლენსბერიმ, სტეფანმა, კირკვუდმა და მექსტონმა და აგრეთვე კომუნისტმა სეკლატვალამ გაუგზავნეს ჰინდენბურგს საპროტესტო დეპეშა იმ განაჩენის წინააღმდეგ, რომელიც გამოიტანა ლეიპციგის სასამართლომ „გერმანიის საგანგებო კომისიის“ საქმის შესახებ. დეპეშა მოითხოვს მათ განთავისუფლებას.

— **საარჩევნო თვითნებობა.** სენის პრეფექტურის საბჭომ უკანონოდ გამოაცხადა მანდატები სამი კომუნისტი ქალის, რომლებიც არჩეულ იქნენ მუნიციპალურ საბჭოში პარიზის უბნებში.

ამუნდსენის ექსპედიცია

მოსკოვი. 31 მაისი. მოგზაური ამუნდსენი და მისი თანამგზავრნი ამერიკელები გადაფრინდნენ შპიცბერგენიდან ჩრდილოეთის პოლიუსისაკენ ორი ჰაეროპლანით 21 მაისს ნაშუადღევის 5 საათზე და 15 წუთზე და უნდა ჩასულიყვნენ დანიშნულების ადგილას 8 საათის შემდეგ.

იმ დღის შემდეგ არავითარი ცნობა აღარ მოსულა ექსპედიციის შესახებ. „როსტა“ სთხოვს ყველა რადიო სადგურებზე, სავაჭრო ნავთსადგურებში, თევზის საჭერ სადგურებზე, საზღვაო საწყობებში და სხვ. მოსული ცნობები დაუყოვნებლივ გადასცენ მოსკოვში „როსტას“ ტელეგრაფით და რადიო-ტელეგრაფით, რათა მკვლევარებს აღმოუჩინოს დახმარება.

ამუნდსენის ხვედრის შესახებ.

ლენინგრადი, 1 მაისი. ლენინგრადის გამოჩენილმა მეტეოროლოგმა **კამინსკიმ** ჩრდილოეთის პოლიუსზე გამგზავრებულ ამუნდსენის შესახებ განაცხადა, **რომ ჯერ კიდევ ნაადრევია ლაპარაკი ამუნდსენის დაღუპვის შესახებ.** ალბად, ამუნდსენი დაეშვა და უკან დაბრუნდა ქვეითად ყინულებით, რითაც აიხსნება მისი მოგზაურობის ხანგრძლივობა.

მთავარ გეოფიზიკურ ობსერვატორიის ჰიდრომეტეოროლოგი ვიზე აგრეთვე არ გამოსთქვამს შიშს ამუნდსენის მოგზაურობისადმი და ფიქრობს, რომ ამუნდსენს არ შეეძლო **დაშვებულიყო პოლიუსზე** ყინულიან მასების რელიეფის გამო. თუ ამუნდსენი არ დაეშვა პოლიუსზე, მან უნდა მოანდომოს დიდი დრო, რათა გამოარკვიოს პოლიუსის მდებარეობა და მივიდეს იქამდე ქვეითათ.

ჩრდილოეთის შემსწავლელი ინსტიტუტის დირექტორი **სამოილოვიჩი**, რომელიც ამას წინად ნორვეგიიდან დაბრუნდა, იუწყება, რომ ამუნდსენის ესპედიცია კარგად იყო მოწყობილი და მას არავითარი საშიშროება არ მოელოდაო. თუ ამუნდსენს უკან დაბრუნება ქვეითად მოუხდება მას გამოიყვანს ნორვეგიის ერთ-ერთი გემი, რომელიც პოლიუსის ყინულებთან მოგზაურობს.

პოლონეთის ჯაშუშთა ორგანიზაციის საქმე

კიევი, 31 მაისი. ტრიბუნალის 30 მაისის დილის სხდომაზე დაკითხული იქნა ყველაზე გამოჩენილი ბრალდებული **ივანოვი**, რომელიც გულწრფელად აღიარებს, რომ მან გადასცა ბელავინს საიდუმლო ცნობები, მაგრამ სცდილობს დაფაროს ის მიზეზები, რომლებმაც აიძულეს ის ამ გზას დასდგომოდა.

ივანოვის სიტყვით, ბელავინი მოუთხრობდა მას, რომ არსებობს ორგანიზაცია „რუსეთი რუსებისათვის“, რომლის მიზანს შეადგენს ძალა-უფლების ხელში ჩაგდება. ბელავინმა წინადადება მისცა ივანოვს შესულიყო ამ ორგანიზაციაში იმ მიზნით, რათა მიეწოდებია ცნობები წითელი არმიის შესახებ და დაჰპირდა ივანოვს 3 ჩერვონეცი თვეში. გარდა ფულებისა, ბელავინი დაჰპირდა ივანოვს, რომ დანიშნავს მას გადატრიალების შემდეგ კორპუსის შტაბის უფროსად.

ივანოვი აცხადებს, რომ მას აინტერესებდა მატერიალური მხარე და სრულიად არ იცოდა, რომ ცნობები პოლონეთში მიდიოდა. საიდან იღებდა ბელავინი ფულებს, მან არ იცის, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ფულებს აძლევდენ მას პოლონელები.

შემდეგ ჩვენებას ართმევენ ბელოზეროვ-მუხინს, რომელსაც ბელავინმა დაავალა გამგზავრებულიყო მასთან ერთად პოლონეთში და გაეცნო თავისი ჯაშუშური მუშაობა. ბელავინი აწვდიდა ბელოზეროვს დაწვრილებით ცნობებს ორგანიზაციის ხასიათის და მოწყობის შესახებ და სთხოვდა ბელოზეროვს ეშოვნა იარაღი და დოკუმენტები, რომელიც საჭიროა საზღვარგარეთ წასასვლელათ, ბელოზეროვის დაკითხვა გადადებულია შემდეგი სხდომისათვის.

30 მაისის საღამოს სხდომაზე დაკითხული იქნა **ნინა კრუჩკოვსკაია.**

კითხვებზე ის უპასუხებს მოხერხებულად. ყველა ფაქტებს იგი აღიარებს, რომ მას მაშინ არ ესმოდა პოლიტიკური პასუხისმგებლობა ჩადენილ ბოროტმოქმედებისათვის. ბრალდებული სავსებით ადასტურებს, რომ ის იცნობდა ბელავინის მიერ მიწოდებულ ცნობებს.

კრუჩკოვსკაია აცხადებს, რომ ორგანიზაციაში მონაწილეობას იღებდენ მხოლოდ მამაკაცები.

მისი სიტყვით ორგანიზაცია პასიური იყო; მისი მიზანია—დამფუძნებელი კრება, ლოზუნგი—თავისუფლება, ძმობა და ერთობა. კრუჩკოვსკაიას აზრით ორგანიზაცია სოციალისტურ ხასიათს ატარებდა. კრუჩკოვსკაია აცხადებს, რომ პოლონეთი მას არ უყვარს, რუსეთი კი ძალიან უყვარს. როდესაც მას ეკითხებიან, რომელი რუსეთი უყვარს მას, მეფის თუ საბჭოთა რუსეთი? ის აცხადებს, რომ ძალიან შეეჩვია საბჭოთა რუსეთს, ამაზე კარგი რუსეთი მას ვერ წარმოუდგენია.

საზოგადოებრივი ბრალმდებელი უჩვენებს მას მის დღიურს, რომელშიაც ჩაწერილია კონტრ-რევოლიუციონური ლექსები.

ბოლოს და ბოლოს ირკვევა, რომ ნინა კრუჩკოვსკაია მხურვალე მონაწილეობას იღებდა ჯაშუშობაში.

აზერბეიჯანის სამთომადნო წარმოების მუშების დღესასწაული

ბაქო, 31 მაისი. 30 მაისს საღამოს შესდგა აზერბეიჯანის სამთომადნო მუშების კავშირის მე-9 ყრილობის საზეიმო სხდომა, რომელიც მიძღვნილი იყო სამთომადნო მუშების აზერბეიჯანის ორგანიზაციის 5 წლის თავისათვის.

სხდომა გახსნა სამთომადნო მუშების კავშირის აზერბეიჯანის განყოფილების თავმჯდომარემ გუტინმა. მისი წინადადებით, ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ლენინის და 26 კომისარის ხსოვნას.

შემდეგ მოხსენებაში, რომელიც მიძღვნილი იყო კავშირის არსებობის ხუთი წლის თავისათვის, მან აღნიშნა, რომ სამთომადნო მუშების აზერბეიჯანის ორგანიზაციას, რომელიც 1920 წელში შევიდა სამთომადნო მუშების სრულიად რუსეთის კავშირის შემადგენლობაში უფრო გრძელი ისტორია აქვს, რომლის დასაწყისათ უნდა ჩაითვალოს 1906 წლის ნოემბერი, როდესაც პირველათ მოეწყო ნავთის მრეწველობის მუშების კავშირი.

შემდეგ მომხსენებელმა დაახასიათა კავშირის მოღვაწეობის მძიმე პირობები ცარიზმის და კერენსკის ბატონობის დროს და შეჩერდა იმ დიდ მუშაობაზე, რომელიც ჩაატარა კავშირმა გასაბჭოების შემდეგ. მან აღნიშნა, რომ კავშირმა დიდ შედეგებს მიაღწია ორგანიზაციული შენებლობის, შრომის დაცვის დაყენების და კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის სფეროში. შრომის ხელფასი გაუწყვეტლივ იზრდება. ახალი კოლექტიური ხელშეკრულების მიხედვით, მინიმუმი განისაზღვრება 16 მანეთით. კავშირის მუშაობის ფართოთ გაშლა ხდება ნავთის მრეწველობის აყვავებასთან ერთად. 2.000 მუშის ბინა, სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები—კავშირის მუშაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მიღწევებია.

თურქულ ენაზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა „აზნეფტის“ სარეწავების დირექტორი რუსტამბეკოვი.

მის შემდეგ „აზნეფტის“ მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა „აზნეფტის“ დირექტორმა სერებროვსკიმ. „მხოლოდ „აზნეფტის“ მუშაკების კოლოსალურ ენერგიას შეეძლო განემტკიცებია ის მიღწევები, რომლებიც ჩვენ ეხლა გვაქვს. ერთ საჟენ მიწის ბურღვის ღირებულება ეხლა უდრის 415 მან., რაც არ ყოფილა ომისწინა ხანებშიც. ნავთის მეურნეობის ყველა დარგების რაციონალიზაცია, რომელიც ეხლა ტარდება, იმედს იძლევა, რომ შემდეგი ხუთი წლის განმავლობაში არაჩვეული ნორმები გადალახული იქნება“.

სერებროვსკის მოხსენების შემდეგ ყრილობა მიესალმა შრომის 11 გმირს, რომლებიც საბჭოთა კავშირის ცაკის დადგენილებით დასაჩუქრებული არიან შრომის წითელი დროშის ორდენით. დასაჩუქრებულთა შორის არიან „აზნეფტის“ უფროსი სერებროვსკი და მისი მოადგილე ბარინოვი. მრავალი დასაჩუქრებულები—დაზგის მუშებია; არიან სპეცებიც, რომლებიც დასაჩუქრებული არიან მთელ რიგ ტექნიკურ გაუმჯობესებათა შემოღებისათვის.

ბაქოს ბაზრობის გარშემო

საუბარი სპარსეთის ელჩთან

ბაქო, 31 მაისი. ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს სპარსეთის ელჩმა აზერბეიჯანში, მინელ-მამელექმა და სპარსეთის მთავრობის კომერციულმა მრჩეველმა მოსკოვში გამიდხანმა, რომლებმაც ინახულეს ბაქოს ბაზრობა, ის აზრი გამოსთქვეს, რომ ეხლანდელი ბაზრობის მოწყობის დროს საბჭოთა ხელისუფლებამ ყველა ზომები მიიღო, რომ ხელსაყრელი პირობები შეექმნა ვაჭრობის განსავითარებლათ სპარსეთსა და საბჭოთა კავშირს შორის. აქამდი მიღებული არ არის არც ერთი საჩივარი სპარსელი ვაჭრებისაგან.

სპარსეთის ელჩმა აღნიშნა, რომ სპარსეთის მთავრობამ მას დაავალა უდიდესი ყურადღება მიექციოს ბაქოს ბაზრობას, რადგან მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სპარსეთის და საბჭოთა კავშირის ეკონომიური დაახლოვების საქმეში.

საუბარი გერმანიის ელჩთან სპარსეთში

ბაქო, 31 მაისი. ბაქოს ბაზრობა დაათვალიერა გერმანიის ელჩმა სპარსეთში, გრაფ შულენბერგმა; ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს შულენბერგმა განაცხადა, რომ მასზე სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ბაზრობამ. მისი აზრით, საბაზრო კომიტეტმა მიიღო ყველა ზომები, რომ ხელსაყრელი პირობები შეექმნა ბაზრობისათვის.

ნახიჩევანის მხარის გაჯანსაღება

ბაქო. 31 მაისი. ნახიჩევანის მხარიდან დაბრუნდა აზერბეიჯანის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ბაგიროვი, რომელიც იქ გაგზავნილი იყო ამიერ-კავკასიის უმაღლესი ორგანოების მიერ მუშაობის [illegible] მხარის გაჯანსაღებისათვის; ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს ბაგიროვმა შემდეგნაირად დაახასიათა ჩატარებული მუშაობა:

„მთავარი ყურადღება,—სთქვა მან,—მიქცეული ჰქონდა სოფლის მეურნეობის აღდგენას. ამ მეურნეობის აღდგენა შეიძლება [illegible] წყალის საკითხის გადაწყვეტის შემდეგ. მიღებული ღონისძიებების წყალობით შემოდგომისათვის შესაძლებელი იქნება არსებული სარწყავი სისტემის აღდგენა 70 პროც. ჯერჯერობით ის აღდგენილია მხოლოდ 20 პროცენტით.

ნახიჩევანის მხარის მეორე მტკივნეული საკითხი—მუშა-საქონლის ნაკლებობა. მხარეს ესაჭიროება 14.000 სული საქონელი, არის კი მხოლოდ 5.000 სული. ამ საკითხის მოგვარება ერთბაშად შეუძლებელია. დროებითი კომპენსაციის სახით ნახიჩევანის მხარეში გადაგზავნილი იქნება 10—15 ტრაქტორი.

ნახიჩევანის მხარეში მოწყობილია ნახიჩევანის სასოფლო-სამეურნეო ბანკის 12 განყოფილება, 11 საკოოპერაციო ამხანაგობა და 3 არტელი“.

შეეხო რა ნახიჩევანის პარტიული ორგანიზაციის გაჯანსაღებას, ბაგიროვმა აღნიშნა, რომ პარტიის 750 წევრიდან პარტიაში დატოვებულია მხოლოდ 150.

პარტიული ცხოვრება

პარტიული კადრის და პარტგავლენის შესახებ კომკავშირში

კომკავშირი ახალგაზდათა პოლიტიკური ორგანიზაციაა და ამასთანავე კომუნისტური პარტიის რეზერვი.

კომკავშირი როგორც პროლეტარული პარტიის მომავალი, მისი შემცვლელი, იზრდება და ვითარდება პარტიის იდეური ზეგავლენის და მისი საერთო ხელმძღვანელობის ქვეშ.

ამას გარდა ყველასათვის ცხადია ის გარემოება, რომ კომკავშირი თავის რიგებში აერთიანებს საზოგადოების მრავალ ფენებს, როგორიც არიან მუშები, ულარიბესი და საშუალო გლეხები, მოწაფეობა, ინტელიგენციის და მოსამსახურეთა ნაწილი.

თამამად შეიძლება იმის თქმაც, რომ მუშური ახალგაზდობის 100 პროცენტი უკვე იმყოფება კომკავშირში და ასეთ პირობებში კავშირის შემდგომი ზრდა უნდა მოხდეს გლეხური ახალგაზრდობის ხარჯზე. და თუ ამ შემთხვევაში აღზრდის საქმე, პარტიის გავლენა და პარტკადრის სიმტკიცე კავშირში არ იქნა დაყენებული თავისი დანიშნულების სიმაღლეზე, ჩვენ ვერ ვიქნებით დაზღვეული სხვადასხვა არასასურველ გადახრებისაგან კომკავშირში.

არასოდეს კომკავშირის წინაშე და აგრეთვე პარტიის წინაშედაც არ დასმულა ასე ფართოდ კითხვა პარტგავლენის გაძლიერებისთვის კომკავშირში, როგორც დღეს.

კომკავშირის აღზრდის საკითხი ეს ახალი რამ არ არის. ამის შესახებ დიდი ხანია იწერება ჩვენს პრესაში, ამ მიმართულებით დიდი ხანია გადადგმულია სათანადო ნაბიჯებიც.

აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების და წარმოების დროს აუცილებელია სწორი ხაზით სვლა. ნამდვილი ლენინური აღზრდის მიღება, რომელიც ასე ესაჭიროება ჩვენ კავშირს, შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ძველი კვარდიის, ბოლშევიკური პარტიის ისტორიის და ტრადიციების ღრმა შეთვისებით, ჩვენი პარტიის მიერ წარმოებული ბრძოლის ყველა მხარეების შესწავლით.

პარტიის იდეიური და პრაქტიკული საქმიანობის შესისხლხორცება კი აუცილებელი საწინდარია ჩვენი მომავალი მუშაობისათვის, ჩვენი ორგანიზაციის კლასიური ხასიათის შენარჩუნებისათვის. აი სწორედ აქეთკენ უნდა იქნეს მთელი ჩვენი ყურადღება მიქცეული.

აღმზრდელობითი მუშაობის საწარმოვლად და პარტგავლენის გაძლიერებას ემსახურება პარტიული კადრი, რომელიც ირიცხება კომკავშირში.

პარტიის მთელი მუშაობა კომკავშირში, სწარმოებს ამ პარტკადრის საშუალებით. კომკავშირში მომუშავე პარტკადრი—კომკავშირიდან პარტიაში გადარიცხული ამხანაგებია. ისინი შეადგენენ პარტკადრს.

[illegible] დღეს ჩვენ ვხედავთ ასეთ მდგომარეობას, რომ კომკავშირიდან გადარიცხული ამხანაგები სრულიად სცილდებიან კომკავშირს, პარტია მას ტვირთავს სხვადასხვა სამუშაოებით და მათ დროც არა აქვთ კავშირში მუშაობის, და მეორეც ის, რომ კომკავშირელი, რომელიც ხედავს, რომ მისი პარტიაში გადარიცხვის შემდეგ მას პარტიამ რაღაც დაავალა, ის უკვე ზევიდან დასცქერის კავშირს.

კომკავშირელი გადარიცხული პარტიაში სრულიად სცილდება კომკავშირის ორგანიზაციას, ივიწყებს მას, ეპოტინება და სურს პარტიაში რაიმე გააკეთოს მხოლოდ იმ მიზნით, რომ მას „დიდებში“ ჰქონდეს საქმე და ახალგაზრდებს ჩამოსცილდეს.

„მე უკვე პარტიაში ვმუშაობ“, „მე უკვე ტექნიკური მდივანი ან ბიუროს წევრი ვარ“, „სად მცალია „კომსომოლში“ ვიმუშავო“, „მე უკვე ჩემი დავალება შევასრულე და პარტიაში გადავირიცხე“. „მე ამომშალეთ კომკავშირიდან“—აი მათი პასუხები, რომლებიც პარტკადრად ირიცხებიან და ითვლებიან კომკავშირში.

და განა ასეთი მდგომარეობის დროს შეიძლება ლენინური აღზრდის და პარტიის გავლენის გატარება კომკავშირში?

რასაკვირველია, არა.

არა იმიტომ, რომ ასეთი ამხანაგები უკვე აღარ ჩაითვლებიან პარტკადრში, არამედ ითვლებიან მხოლოდ ქაღალდზე. რა ღირებულება აქვს ამ ამხანაგების მხოლოდ კავშირის სხდომებზედ დასწრებას, თუ მათ აქტიური მონაწილეობა არ მიიღეს კავშირის პრაქტიკულ მუშაობაში.

ეს უთუოდ არანორმალური მოვლენაა, რომლის აღმოსაფხვრელად ჩვენ უნდა მივიღოთ საჭირო ზომები ისე, რომ პარტიაში გადარიცხული ამხანაგები სავსებით და მთლიანად არ ჩაებან მხოლოდ პარტმუშაობაში, არამედ მათ შესძლონ მუშაობაც როგორც პარტიული, ისე კომკავშირის ხაზითაც.

მეორე, რომელიც მეტად ხელს უშლის პარტიის გავლენის გაძლიერებას კომკავშირში,—არის ის, რომ პარტიის უჯრედის წარმომადგენლები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ კომკავშირის უჯრედებს. ისინი არ მიდიან, არ ესწრებიან მათ კრებებს ან და არის ისეთი შემთხვევები და ეს კი ძლიერ ხშირად, რომ პარტიის უჯრედს სრულიად არ ჰყავს წარმომადგენელი კომკავშირის უჯრედში, არ იცის რა ხდება იქ, რას აკეთებენ, რაზე მსჯელობენ. ასეთ პირობებში არა თუ სწორი ხელმძღვანელობის შესახებ, არამედ უბრალო ხელმძღვანელობის შესახებაც კი ზედმეტია ლაპარაკი.

აი მომავალში ასეთი მდგომარეობის გაგრძელება ყოვლად შეუძლებელია. პარტიისა და კომკავშირის ხელმძღვანელმა ორგანოებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ამას, უნდა მიღებული იქნეს ყოველგვარი ზომები იმისთვის, რომ ამ მხრივ საქმე მოგვარებული იქნეს.

ასე რომ თუ ჩვენ გვინდა საჭირო დონეზე დავაყენოთ ჩვენი კავშირი, აღვზარდოთ ის ნამდვილ ლენინურ პრინციპებზე, მოვაქციოთ ის პარტიის სრული გავლენის ქვეშ, აუცილებლად საჭიროა გავაძლიეროთ კავშირში პარტკადრი და პარტგავლენა.

ლ. ხალუქაძე.

მეტის ატანა შეუძლებელია*)

XXII

ამ წერილს იძულებული ვარ ცოტა pro domo წაუმძღვარო.

ჩემი ნაწყვეტები მინდოდა უკანასკნელი წერილით გამეთავებია (იხ. „კომუნისტი“, № 115), მაგრამ თუ ხელახლა ვიღებ კალამს და მკითხველთან საუბარს ვაგრძელებ, ეს ერთი ჩემი მეგობრის ბრალია. მეგობარი მწერს:

„რაც დასწერე,—არ უნდა დაგეწერა: წაქცეულ ხეს რა მოჭრა ესაჭიროებაო“. ჩემი მეგობარი არსებითად რამდენიმე საყვედურსაც მითვლის. ამ საყვედურებზე ცოტა ქვემოთ, ახლა კი წაქცეულ ხეზე.

ამ შენიშვნას მე ვერ გავიზიარებ. ჩემს მეგობარს, ალბათ, ავიწყდება, რომ თუ წაქცეული ხე ტყეში დარჩა, ის ლპება და მთელ ტყეს აფუჭებს. ეს იცის ყველა გლეხმა და ამის არ ცოდნა არ ეპატიება მწერალს (ჩემი მეგობარი მწერალია).

ესეც არ იყოს, ვის ეძახის ჩემი კორესპონდენტი **წაქცეულ ხეს?** ნოე ჟორდანიასა და „მის მთავრობას“, რომლებიც ევროპაში თავისუფლად დასეირნობენ და საქართველოსა და მისი ხალხის ბედს ისე განაგებენ, როგორც კარგი მოჭადრაკე ჭადრაკის ფიგურებს?

ამბობენ: გამოჩენილ მოჭადრაკეებს—ჩიგორინსა და ლასკერს—შეუძლიათ სხვადასხვა ქალაქებში ცხოვრობდენ და ერთმანეთს ჭადრაკის პარტია ეთამაშონო. არ ვიცი რამდენად მართალია ეს, მაგრამ ჟორდანია და მისი „მთავრობა“ ამ შემთხვევაში კიდევ უფრო დიდ სასწაულს ახდენენ. და ამიტომაც ისინი მეტად საშიშარ საქმეს სჩადიან. საქმე ის არის, რომ ჩიგორინი და ლასკერი კიდეც რომ შეცდენ, ვის რა ენაღვლება: იმათ მხოლოდ ჭადრაკის ფიგურებთან აქვთ საქმე; სადაც უნდა იქ დააყენონ ეს ფიგურები, როგორც სურთ ისე მოექცენ მათ.

მაგრამ სულ სხვაა, როცა ჟორდანია და მისი „მთავრობა“, ბურჟუაზიული ევროპის წმინდა პოლიტიკური მიზნების გულისთვის, მთელ საქართველოს და ქართველ ხალხს ამ ჭადრაკის ფიცრისა და მისი ფიგურების მდგომარეობაში აყენებენ; ამას კი ქვეყნის დაღუპვა მოყვება და ყველა ადამიანი, ყველა ის, ვინც კიდევ გრძნობს თავის არსებობაში სიცოცხლისა და ბრძოლის უნარს, მთელი თავის ძალ-ღონით უნდა შეებრძოლოს ასეთ უბედურებას. და მეც, რადგან ჯერ თავს კიდევ ცოცხლების რიცხვში ვთვლი, ჩემს წმინდა მოვალეობათ მიმაჩნია ამ საშინელებასთან ბრძოლა. მე ამას მავალებს ის გარემოებაც, რომ მე იმ თავითვე ხელი მოვკიდე ჟურნალისტის მძიმე და უმადურ მოვალეობას. და თუ წარსულში, მაშინ, როცა ხალხს შედარებით უფრო ნაკლები გასაჭირი ადგა, კი ვბედავდი მისი ინტერესების დამცველად გამოსვლას, დღეს, როცა იმავე ხალხს წარმოუდგენელ განსაცდელს უმზადებენ, რა უფლება მაქვს კალამი ხელიდან გავაგდო. მე ჟურნალისტი გახლავართ და ნურას უკაცრავად, თუ ასეთი „მეშჩანური“ მოსაზრებებით ვერ ვიხელმძღვანელებ. დეე ასეთი მასალით იხელმძღვანელონ იმ წვერულვაშებიანმა მეჭორე კეკელუებმა, იმ ნებსით თუ უნებლიეთ პროვოკატორებმა, რომლებიც ერთობ კარგად მოეწყვნენ საბჭოთა ხელისუფლების საფარველ ქვეშ და იმავე დროს ჟორდანიასა და „მის მთავრობასაც“ ნაზად თვალებს უშვრებიან. დეე ამ კეკელუებმა ერსა და იმავე დროს ატარონ ჯიბე-უბეში კომუნისტური და ანტიკომუნისტური დროშები; დეე მათ ეძებონ გამოსაძრომი იმ დროისთვის, თუ კომუნისტებს ფეხი დაუცდებათ. მაგრამ ასეთი მორალით ვერ ვიხელმძღვანელებ მე; ასეთი მორალით ვერ იხელმძღვანელებს ის ადამიანი, ვისაც თავის ხელობათ მებრძოლი ჟურნალისტობა აურჩევია, რომელსაც ეს სახიფათო და ქარიშხალიანი ხელობა თვით საკუთარ სიცოცხლეზე უფრო უყვარს.

ერთად-ერთი გარემოება, რომელსაც მე იძულებული ვარ ანგარიშში გავუწიო, მხოლოდ ის არის, რომ მე ამდენ ხანს ვსდუმდი. ასეთი საყვედური მართალი არის. ეს მართლაც რომ დანაშაულია. მაგრამ მე რომ თვითონ ჩემი თავის მსაჯული ვიყო, ჩემს თავს ამ დანაშაულში გავამართლებდი და აი რა საბუთებით.

მე ნახევარ საუკუნეზე მეტი მიცხოვრია; მე წილად მხვდა მეცხოვრა ისეთ დროს, როცა დიდი რევოლიუცია მზადდებოდა, როცა მისი ქარიშხალი ჯერ გაუბედავათ იწყებდა სისინს. უბედნიერესი ვარ მითი, რომ ჩემის თვალებით ვნახე ისეთი სასწაული, რომლის მსგავსიც ჯერ კაცობრიობას არ უნახავს... მაშასადამე, მე პოლიტიკური ბრძოლის კანონი უნდა ვიცოდე. მე მართლაც ვიცი, რომ ქვეყნად არ არსებობდა და არც ახლა არსებობს ისეთი ხელისუფლება, რომლის წინააღმდეგაც სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებს ბრძოლა არ ეწარმოებიოს და არ აწარმოებდენ. მაშასადამე, თუ საბჭოთა ხელისუფლებას ესა თუ ის პოლიტიკური პარტია თუ ჯგუფი ებრძვის, ეს მისი უფლებაა, ეს ყოველ შემთხვევაში თვით ხელისუფლებისა და მისი მოწინააღმდეგე პარტიის საქმეა. მე თუ ნეიტრალური პიროვნება ვარ, აქ საქმე არა მაქვს. საქმე არა მაქვს მხოლოდ იმ დრომდე, სანამ ეს მებრძოლი პარტია ისე არ გაუტაცნია ბრძოლის ჟინს, რომ თვით ხალხი, თვით ცოცხალი ადამიანები ჭადრაკის უსულო ფიგურებსავით ათამაშოს. როცა ასეთი რამე ხდება, მაშინ ადამიანის და ისიც ჟურნალისტის „ნეიტრალობა“ ნამდვილი დანაშაულია. მე ასეთ დანაშაულს ვერ ჩავიდენდი და არც ჩამიდენია იგი.

— არა, შენ მაინც დააგვიანე.—მეუბნება ამ საბუთით უკმაყოფილო მკითხველი.—შენც გრძნობებს აჰყევი და სდუმდი მის შემდეგაც, როცა საქართველოს ასეთი დიდი უბედურება თავს დაატეხესო.

იქნება მკითხველი მართალიც იყოს. იქნება მართლაც ამიყოლია მესამე დასელის ძველმა რომანტიზმმა. ეს არც საკვირველია. ნოე ჟორდანია ჩემთვის ჩვეულებრივი პიროვნება როდია. მე ის მიყვარდა ჩემი პოლიტიკური დაბადების პირველ დღიდანვე. მე ყოველთვის მწამდა მისი დიდი ნიჭი, რომელიც ჩემ თვალწინ გაიფურჩქნა. მე ყოველთვის ვსცდილობდი მისი თანამებრძოლი ვსყოფილიყავი, მასთან ერთად, მისი წინამძღოლობით, მეც მიმეტანა იერიში ქვეყნის მტერსა და ორგულზე. მთელი მეოთხედი საუკუნე,—გესმით; მთელი მეოთხედი საუკუნე!—მასთან ერთად ვიბრძოდი და ამით ვილეც ვამაყობდი და, ცოდვათ ნუ ჩამითვლით, რომ დღესაც ვამაყობ ასეთი წარსულით... თუ მკითხველი ჩემს ასეთ წარსულს მხედველობაში მიიღებს, ალბათ, მიხვდება, რომ ჩემთვის ადვილი არ იყო ნ. ჟორდანიას წინააღმდეგ ხელში კალმის, სწორედ იმ იარაღის, აღება, რომლითაც მთელი ჩემი სიცოცხლე მასთან ერთად ერთი დროშის ქვეშ ვიბრძოდით.

და ამის შემდეგ ნუ თუ გასაკვირველია, რომ გრძნობებმა ამიყოლიეს?

მე ჩემს საკუთარ ტყავზე განვიცადე „საქართველოს დემოკრატიული მთავრობის“ საზღვარგარეთ „მოღვაწეობის“ საშინელი შედეგი. მაგრამ, ალბათ, **გრძნობებმა** დამრიეს ხელი, რომ ვსდუმდი. ვსდუმდი მაშინაც, როცა ნოე რამიშვილის პროვოკატორული წერილი გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ გამოქვეყნდა. მე ვსდუმდი და იცით რატომ? იმიტომ კი არა, რომ მე ყველა ამას თანავუგრძნობდი, არა; მე ვსდუმდი მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ საბედნიეროდ ნოე ჟორდანია ცოცხალი მეგულებოდა. ვსდუმდი, იმიტომ, რომ ვფიქრობდი: ნოე შესცდა, მაგრამ ის თვითონ შეეცდება საქმის გამოსწორებას და თუმცა მკვდრებს ვერ გააცოცხლებს, მაგრამ თავის, შემცდარი ნაბიჯებიდან ისეთ დასკვნებს გააკეთებს, რომ ხალხს მომავალში მაინც თვალებს აუხელს და ავანტიურის გზას აიცდენს მეთქი. ასე ვფიქრობდი, მაგრამ მოვსტყუვდი. ნ. ჟორდანიამ არ გაამართლა ჩემი იმედი...

აი მიზეზი ჩემი დაგვიანებისა. აი ჩემი სისუსტე, ჩემი გრძნობების აყოლ-დაყოლა. აი ჩემი დიდი დანაშაული, როგორც ჟურნალისტისა... ეს არის ჩემი დიდი ცოდვა, რომელშიაც მზადა ვარ პასუხი ვაგო.

თანახმა ვარ: ვისაც ჟურნალისტის როლი უკისრნია, მას უფლება არა აქვს გრძნობებს დაემორჩილოს. მხოლოდ ერთსაც ვიტყვი: ჩვენ, მესამე დასელები გრძნობის ხალხი ვიყავით და ვართ და ეს მე სრულებით არ მიმაჩნია სასირცხოთ.

ჟურნალისტს ყველაზე უფრო გულწრფელობა უნდა ქონდეს. აი ჩემი გულწრფელი აღსარება. მსჯავრი მკითხველმა დამდოს.

* * *

ახლა ჩემი მეგობრის წერილს უფრო არსებით მხარეზე გადავიდეთ.

მეგობარი მისაყვედურებს; როგორ ვერ მიმხვდარხარ, რომ კომუნისტები ნაციონალურ საკითხს მეტისმეტად პრიმიტიულად სწყვეტენ ისინი მხოლოდ თვალებს გვიხვევენ და მალე ჩვენი ერი ისე გაითქვიფება სხვა ერებში, ჩვენი ტერიტორია ისე გამოგვეცლება ხელიდან, რომ სულ რამდენიმე ათეულ წლის შემდეგ ისტორიკოსს გაუჭირდება მონახვა თუ სად იყო, სად მოსახლეობდა ქართველი ერი. საქართველო და რუსეთი მუდამ იყვნენ და იქნებიან ძმურ განწყობილებაში, მხოლოდ კომუნისტები ნუ იქნებიან რუსეთში.

შენ ლაპარაკობ, რომ ქართველი ხალხისათვის სოციალიზმი და ეროვნების დაცვა სინონიმი არისო. ბოლშევიკებს კი ეს მარქსისა და მარქსიზმის ღალატად მიაჩნიათ. იმათ მხოლოდ მარქსისა და ენგელსის სიტყვები იციან: „პროლეტარიატს სამშობლო არა აქვსო“.

ჯერ ამ კითხვებზე შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

არ ვიცი რომელი კომუნისტების სახელით ლაპარაკობს ჩემი მეგობარი, მაგრამ ჩემთვის ცხადია, რომ თუ ეს მისი კომუნისტები ნამდვილი მარქსისტები და ლენინისტები არიან, ისინი ჩემი დებულების წინააღმდეგ ნაციონალურ საკითხში, იმდენად, რამდენადაც მე ამაზე წინა წერილში ვილაპარაკე, არა მგონია, რომ გამოვიდენ.

კომუნისტურ მანიფესტში მართალია არის ნათქვამი: პროლეტარებს სამშობლო არა აქვთო, მაგრამ იქ მარქსი და ენგელსი იმას კი არ ამბობენ, რომ მათ სამშობლო არ ექნებათო. მეცნიერული სოციალიზმის მამამთავრები მართლები იყვნენ მაშინ, როცა ამ სიტყვებს სწერდნენ მაგრამ ეს დებულება დღეს ყველაზე უფრო არ გამოხატავს რუსეთის სინამდვილეს. საბჭოთა რუსეთი პროლეტარიატისა და გლეხობის სახელმწიფოა. აქ დღეს პროლეტარიატის დიქტატურაა და როგორ შეიძლება იმაზე ლაპარაკი, რომ პროლეტარიატს სამშობლო არა აქვსო.

ჩვენდა საბედნიეროდ დღეს საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი ასე არ უყურებს საქმეს. დღეს ის აუტანელის ბრძოლითა და ძარღვების დაჭიმვის ფასით აშენებს თავის საკუთარ სახელმწიფოს; დღეს მან გვერდში ამოიყენა ჩაგრული გლეხობაც, რაც ზოგიერთი მარქსისტისა და თუ გნებავთ იმავე სოც.-დემოკრატიის ძველი ტრაფარეტით, მარქსიზმის ღალატს მოასწავებს. აბა ამის შემდეგ მიბრძანდი და რუსეთის პროლეტარიატს უთხარით: თავს რატომ იხუხებ, შენ ხომ სამშობლო არა გაქვსო—და კარგ პასუხსაც მიიღებო.

კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო, იტყვის ხოლმე ხალხის სიბრძნე და ეს ამ შემთხვევაშიც არ უნდა დაგვავიწყდეს. არა თუ დღეს, როცა მთელი დედამიწის ერთ-მეექვსედ ნაწილზე პროლეტარიატის დროშა ფრიალებს, ძველადაც, თუნდა იმავე რომში, სადაც პროლეტარიატი, როგორც ზემოთ დავიხახეთ, ყოველგვარ უფლებას მოკლებული იყო, სადაც სამოქალაქო ომი მუდამ გაჩაღებული იყო, თუ ამ მისთვის დედინაცვალ რომს გარეშე მტრისაგან განსაცდელი მოელოდა, იგივე პროლეტარიატი გაბატონებულ კლასებს წინ უსწრებდა რომის ძლიერების დასაცველად. და თუ ასე იყო რომში, როგორ უნდა იყოს ჩვენში, სადაც ქვეყნის ბატონ-პატრონი თვით პროლეტარიატია, სადაც მუშებისა და გლეხების სახელმწიფოს არსებობა აშკარა ფაქტია.

არა, ამხანაგებო და მოქალაქენო, დღეს რუსეთში და კერძოთ საქართველოში არ შეიძლება ძველი, უკვე გახუნებული ტრაფარეტით გამოსვლა, თუნდაც ეს ტრაფარეტი მარქსის ამა თუ იმ ფრაზას ემყარებოდეს. თვით მარქსიზმი გაყინულ-გაქვავებული დოღმა კი არ არის; ის ყოველთვის უწევს ანგარიშს ცხოვრების სინამდვილეს. ის ყოველთვის გამოდის კლასობრივ ძალთა განწყობილებიდან. თუ მაშინ, როცა მარქსი და ენგელსი თავის კომუნისტურ მანიფესტს სწერდენ, პროლეტარიატს სამშობლო არა ჰქონდა, დღეს რუსეთის (და საზოგადოთ საბჭოთა კავშირის) პროლეტარიატს აქვს თავისი სამშობლო. ვინც ეს არ იცის, ის არ არის მარქსისტი, ის ტყუილა, თუთიყუშივით იმეორებს მარქსის ამა თუ იმ დებულებას.

ქვეყანაზე უდიდესი რევოლიუცია მოხდა. ამ რევოლიუციამ ქვა-ქვაზე არ დასტოვა როგორც ადამიანის აზროვნებაში, ისე მისი ცხოვრების ყოველ დარგში. ის, რაც გუშინ კაცობრიობას სიზმრადაც კი ვერ წარმოედგინა, დღეს ყველასათვის დასანახ ფაქტად გადაიქცა. და ამ დროს არიან ისეთი გულუბრყვილო ადამიანები, რომლებიც გამოდიან ძველ ცუდათ გაგებულ და ცუდათ შეთვისებულ, ძაგრამ კარგად გაზეპირებულ სიტყვებს, თუთიყუშივით იმეორებენ... და ყოველ ამას მარქსისა და ენგელსის სახელით ასაღებენ!

იცით რაში მდგომარეობს ლენინის სიდიადე? იმაში, რომ ის მტერი იყო ასეთი ტრაფარეტებისა. ამიტომაც არის, რომ ლენინმა ახალი მასალებით, ახალი რევოლიუციიდან აღებული არგუმენტებით გაამდიდრა მარქსიზმი, ახალი უკვდავი სული შთაბერა მას. ყველაზე უფრო მან ეს შესძლო ნაციონალური პრობლემის გადაწყვეტის საქმეში.

ფაქტები გნებავთ? ინებეთ!

კომინტერნის მესამე ყრილობაზე ლენინმა თავის შესანიშნავ სიტყვაში განაცხადა:

„მთელი ქვეყანა დაყოფილია დაჩაგრულ და გაბატონებულ **ერებათ:** დაჩაგრული ერები 70 პროც. ნაკლებს არ შეადგენს. ვერსალის ზავმა კიდევ მიუმატა მას ასი თუ ასორმოცდა ათი მილიონი ხალხი“.

როგორც ხედავთ, აქ ლენინს ახალი ელემენტი შეაქვს მარქსიზმის გაგებაში. ამდენ ხანს ჩვენ ვიცოდით, რომ საზოგადოება გაყოფილა იყო კლასებათ. დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ქვეყანა დაყოფილი ყოფილა დაჩაგრულ და დამონებულ ერებათ. მაშასადამე, თუ ჩვენ დღემდე გამოვდიოდით ლოზუნგით: პროლეტარებო ყველა ქვეყნისავ, შეერთდითო,—ისიც უნდა მივიღოთ: ყველა ქვეყნის ჩაგრულო ერებო, შეერთდითო. ეს სრულიად ლოღიკურად გამოდის ლენინის განცხადებიდან. მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ. ჯერ დავუბრუნდეთ ლენინის იმავე სიტყვას.

იმავე სიტყვაში ლენინმა განაცხადა: „კოლონიალური ქვეყნების მოძრაობა ჯერ კიდევ ისე ითვლება, როგორც უმნიშვნელო ნაციონალურად და სრულიად უმნიშვნელო მოძრაობა.

მაგრამ ეს ასე როდია. მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ამ მხრით დიდი ცვლილება მოხდა, სახელდობრ: მილიონები და ასეული მილიონები, ფაქტიურად დედამიწაზე მცხოვრები ხალხების დიდი უმეტესობა, ახლა გამოდიან როგორც დამოუკიდებელი, აქტიური რევოლიუციონური ფაქტორები. და სრულიად აშკარაა, რომ მომავალ მსოფლიო რევოლიუციის გადამწყვეტ ბრძოლაში დედამიწაზე მცხოვრები ხალხების უმეტესობის მოძრაობა, თავ და პირველად ნაციონალური განთავისუფლებისაკენ მიმართული, მიიღებს კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ მიმართულებას და შეიძლება უფრო დიდი რევოლიუციონური როლი ითამაშოს, ვიდრე ეს ჩვენ გვგონია. საჭიროა ხაზი გაუსვათ, რომ ჩვენ ჩვენს ინტერნაციონალში მივადექით ამ ბრძოლის მომზადების საქმეს. რა თქმა უნდა, ამ უდიდეს სფეროში უდიდესი დაბრკოლება გველობება წინ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მოძრაობა წინ მიდის და მშრომელთა მასები და კოლონიალური ქვეყნების გლეხები, მისდა მიუხედავად რომ ჯერ ისინი კიდევ ჩამორჩენილები არიან, ითამაშებენ უდიდეს რევოლიუციონურ როლს მსოფლიო რევოლიუციის მომავალ ფაზისებში“ (იხ. **Третий Всемирный Конгресс Коммунистического Интернационала“**, სტენოგრამა).

ასე ახასიათებს ლენინი ეროვნული მოძრაობის როლს მომავალ რევოლიუციებში, ასე ასაბუთებს იგი ეროვნებათა სრულუფლებიანობას მესამე ინტერნაციონალში. მართალია, ის აქ ლაპარაკობს კოლონიალურ ქვეყნების ხალხების ნაციონალურ საკითხსა და ეროვნულ მოძრაობაზე. მაგრამ ეს გარემოება სრულებითაც არა სცვლის ამ საგანთან მის დამოკიდებულებას საერთოთ. ეს ცხადია ლენინის იმავე სიტყვის იმ ადგილიდან, სადაც ის ეხება ევროპის კონტრ-რევოლიუციონური ემიგრაციის რუსეთის გლეხებზე გავლენის საკითხს.

დაჩაგრული ერების მოძრაობის ასეთი დიაგნოზიდან ლენინს შესაფერი დასკვნაც გამოჰყავს, რაც სრულიად ახლად უნდა ჩაითვალოს მარქსისტულ აზროვნებასა და ლიტერატურაში. აი რას გვეუბნება ლენინი თავის შესანიშნავ სიტყვაში, რომელიც მან წარმოსთქვა 1920 წლის 27 ნოემბერს მოსკოვში კომუნისტური პარტიების უჯრედების მდივნების ყრილობაზე.

„ჩვენ მართლაც გამოვდივართ ახლა არა როგორც მთელი ქვეყნის პროლეტარების წარმომადგენელნი, არამედ როგორც დაჩაგრულ ერების წარმომადგენლებიც. რამდენიმე ხნის წინად გამოვიდა კომუნისტური ინტერნაციონალის ჟურნალი: „აღმოსავლეთის ხალხები“. კომინტერნმა აღმოსავლეთის ხალხებისათვის ასეთი

---

*) ნ. „კომუნისტი“ № 115

ივნისის პირველ რიცხვებში გამოვა ყოველთვიური ჟურნალი
„სოფლის კომუნისტი“
ს. კ. კ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგანო
სარედაქციო კოლეგიაში შედიან: 1) ლ. ქართველიშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), 2) მ. ორახელაშვილი, 3) მახარაძე 4) მ. გახტაძე, 5) გ. მუშიშვილი
ჟურნალში უმთავრესად გაშუქებული იქნება სოფლად პარტიული მუშაობისა და საბჭოთა აღმშენებლობის საკითხები.
ჟურნალი ეღირება ერთი თვით 20 კაპ. ერთი წლით 2 მან. ცალკე ნომერი 20 კ. ხელის მოწერა მიიღება გაზ. „ახალი სოფელი“-ს კანტორაში, ვოლოდ. ქ. № 13.
რედაქციის მისამართი: ს. კ. პ. ც. კ-ტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება
ნ. 1227—5—5

კოოპერაცია

დარჩელის რაი „ეპოკ“-ს რწმუნებულთა წლიური კრება

(ზუგდიდის მაზრა)

1925 წ. 24 მაისს შესდგა დარჩელის რაიონის მთლიანი მომხმარებელი საზოგადოების რწმუნებულთა წლიური ყრილობა, რომელსაც რწმუნებულთა უმრავლესობა დაესწრო.

ყრილობა გახსნა გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. კ. ნაჭყებიამ.

განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება გამგეობისა წარსული 1924 წ. მუშაობის შესახებ, 2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა, 3) 1924—1925 წ. ხარჯთ-აღრიცხვა, 4) გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები და სხვა.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგეობის თავმჯდომარე ამხ. კ. ნაჭყებია და აღნიშნავს, რომ მიუხედავად მრავალგვარი დამაბრკოლებელი მიზეზებისა გამგეობამ შესძლო გასული 1924 წ. განმავლობაში იაფ-ფასებში გლეხობისათვის პირველი მოთხოვნილების საგნების მიწოდება, გააშენა ფარდული—პარკის სახარშავი ქარხანა და ჩაატარა სიმინდის ოპერაცია.

სარევიზიო კომისიის მოხსენების და კამათის შემდეგ ყრილობამ ერთხმად მადლობა და ნდობა გამოუცხადა გამგეობას, და უცვლელად დასტოვა ძველი შემადგენლობა: თავმჯდომარედ ამხ. კ. ნაჭყებია—წევრად დ. ხარჩილავა და ი. კეიდია.

სარევიზიო კომისიაში იქნა არჩეული ოთხი კაცი.

ვ. დარჩელელი.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანია

დასაბეგრ მეურნეობათა აღრიცხვა

რაჭის მაზრა.

22 მაისის ცნობებით რაჭის მაზრაში საარიცხვო მუშაობა დამთავრდა 6 თემში. მუშაობა მიმდინარეობდა ნორმალურ პირობებში. 22 მაისიდან სწარმოებს აღრიცხვა დანარჩენ 9 თემში. და ქალაქ ონში.

შორაპნის მაზრა.

27 მაისის ცნობით მაზრაში საარიცხვო მუშაობა დამთავრებულია 5 თემში—32 სოფელში. ხოლო კამპანიის დასაწყისიდან—80 სოფელში.

ლეჩხუმის მაზრა.

22 მაისამდე მუშაობა დამთავრდა 24 სოფელში. ყრილობებზე სიების გამოქვეყნების შემდეგ მიწის და საქონლის რაოდენობაში შეტანილია შესწორებები.

ქუთაისის მაზრა.

22 მაისამდე მუშაობა დამთავრდა 26 სოფელში. სადაც აღრიცხულია 7.342 მეურნეობა, ხოლო საარიცხვო მუშაობის დასაწყისიდან კი 16.342 მეურნეობა.

გორის მაზრა.

მაზრაში საარიცხვო მუშაობა დაიწყო 4 მაისს. ორი კვირის განმავლობაში მუშაობა დამთავრდა 8 თემში. სამფინგანის ცნობით დასაბეგრი მიწის რაოდენობა წელს შედარებით ნაკლებია, ვინემ შარშან; შარშან მიწის მოედანი აღინიშნებოდა დესიატინობით იმ დროს, როდესაც გადამხდელნი მას უჩვენებდენ თავისი საზომით „დღიური“ (ნახევარი დესიატინა). ამის გამო მრავალ ადგილებში მიწის რაოდენობა ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის გამორკვეული და საჭირო ხდება ფაქტიური გასინჯვის მოხდენა.

ბორჩალოს მაზრა.

16—22 მაისამდე მუშაობა დამთავრდა სამ რაიონის 121 სოფელში, დარჩა კიდევ აღსარიცხავი 66 სოფელი.

ქრონიკა

საზოგადო სამუშაოები. შრომის და შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატებმა წინადადება მისცეს სამაზრო აღმასკომებს გამოიმუშაონ ხარჯთაღრიცხვა იმ საზოგადო სამუშაოებისთვის, რომელთა მოსაწყობათ აღმასკომებს არ მიუღიათ ცენტრიდან დახმარება და რომელთაც აქვთ ადგილობრივი მნიშვნელობა. აღნიშნულ საზოგადო სამუშაოების მოსაწყობი ხარჯი უნდა იკისრონ აღმასკომებმა, მუშა-ხელის დაკმაყოფილება კი ევალება შრომის სახ. კომისარიატს.

— **შუშხუნების შეძენა.** საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა საზღვარგარეთიდან მიიღო 5 ათასი ცალი შუშხუნა, რომლებიც დანაწილებული იქნა თელავისა და სიღნაღის მაზრებს შორის.

— **გადასახადი.** ფინსახკომისარიატის ცნობით მიმდინარე წლის მთლიან სას.-სამ. გადასახადიდან დარჩენილია აუკრეფელი 450 ათასი მან.

— **არაზინდოში.** თბ. დამზღვევი სალარო არაზინდოში პირველ რიგში გზავნის 75 დაზღვეულს, მათ შორის 12 გონებრივად მომუშავეა.

— **თბ. დამზღვევ სალაროს** წელს კურორტებზე აღებული აქვს 371 ადგილი.

— **ქუჩების შეკეთება.** თბ. აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილებამ შეაკეთა და ქვაფენილებით მოაგო ლენინის უბნის ქუჩები.

— **სახლების შეკეთება.** თბ. აღმასკომი მაისის შუა რიცხვებიდან შეუდგა თბილისში არსებულ საბჭოთა სახლების შეკეთებას.

— **აფხაზეთის** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა საქ. მიწად-მოქ. სახ. კომისარიატის წინაშე, რათა ზაფხულის განმავლობაში აფხაზეთში მოწყობილი იქნას დოლი.

— **მავნეებთან ბრძოლის ბიურომ** სენაკის მაზრაში ჩაატარა საჩვენებლი ბრძოლა ხეხილის მავნეების წინააღმდეგ.

— **ა/კ. მუშათა საბინაო** კოოპერაციის წარმომადგენელთა თათბირი გაიხსნება 4 ივლისს.

— **ზაჰესის სამუშაოთა** ადგილზე მტკვარის ადიდების საშიშროების განვლის გამო, შეუდგენ მთავარ საგუბარის კეთებას საჭირო წყალსაქაჩებით და მანქანებით.

— **ტრამვაის სამმართველომ** შეიძინა 90 ათასი მანეთის ტერმიდი (რკინის სახარში ნივთიერება) ტრამვაის სალიანდაგო ზოდების გადასახარშავად.

— **ფუნიკულიორისათვის** ტრამვაის დირექციამ საზღვარგარეთ შეიძინა ვაგონების ასაყვან-ჩამოსაყვანი ჯაჭვი.

— **ქუთაისის სულით ავადმყოფთა სახლის** გასაუმჯობესებლად ჯანსახკომმა გადასდო 300 მან.

— **ცეკავშირი** ამჟამად თვეში ასაღებს ნახევარ მილიონ მანეთის სალიარალ საქონელს.

— **ცეკავშირი** თავის საქონლის ოთხ მეხუთედს აძლევს კოოპერატივებს, დანარჩენს კი კერძო ვაჭრებს.

— **შოფერების პირველმა შრომის** ამხანაგობამ დაიწყო მუშაობა თბილის—მანგლისსა, თბილის—ვლადიკავკავსა და სხვა მიმართულებით.

— **დახმარება უმუშევრებს.** მაისის განმავლობაში დაზღვევის განყოფილებამ დახმარება მისცა 1937 უმუშევარს.

— **გამოფენა.** გრძელდება ამხ. ზ. ჭიჭოძის სახელობის საქარხნო-საფაბრიკო ქალთა სკოლის დარგებთა ნაწარმოების გამოფენა. გამოფენა გახსნილია ამავე სკოლის კლუბში (კომუნალური, 58).

— **ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოებაში.** დღეს სამშაბათს საღამოს 8 საათ. საქართველოს მუზეუმის საუდიტორიო დარბაზში საზოგადოების მორიგ საჯარო სხდომაზე წაკითხულ იქნება მოხსენება არნ. ჩიქობავას მიერ: „ხანმეტი პალიმფსესტებისა და ხანმეტობის დათარიღებისათვის“.

რკინის გზებზე

თუჯის მილები

ა. კ. რკ. გზ. სამმართველომ შეუკვეთა ჩითახის ქარხანას 12 ათასი ფუთი თუჯის წყალსადენის მილები.

ლიანდაგიდან გადაცდენა

31 მაისს ისრის არა წესიერად გადაყვანის გამო სად. გომში ლიანდაგიდან გადასცდა 5 ცისტერნი, რომლებიც მცირედ დაზიანდა.

[illegible]

1-ლ ივნისს დილით სამგზავრო მატარებლის № 7 ერთი საკლასო ვაგონი გადასცდა ლიანდაგს სად. პირსოგატის შესასვლელში. ლიანდაგი გაფუჭებულია 60 საჟენის მანძილზე. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

გადასაზიდი ტარიფი დაფნაზე და ჩაიზე.

„ცეკავშირი“-ს გამგეობა შუამდგომლობს ა. კ. რკ. გზ. სამმართველოს წინაშე, რათა დაკლებულ იქნეს გადაზიდვის ტარიფი დაფნაზე და ჩაიზე.

ხუთწლიანი გეგმა

ტრანსპორტის გეგმათა სამმართველომ მიმართა ა. კ. რკ. გზ. სამმართველოს გამოიმუშაოს მომავალი ხუთწლიანი გეგმა ტვირთზიდვისა. გეგმაში შეტანილი იქნება აგრეთვე ბაქო-ბათომის ნავთსადენისა და საუღელტეხილო უბნების ელექტროფიკაციის მოწყობა. გეგმა დასამტკიცებლად გადაეცემა ს. ს. რ. კავშირის სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს სატრანსპორტო სექციას.

მოწესრიგება

ამ დღეებში ხაზზე გაემგზავრება ა. კ. რკ. გზ. სამმართველოს კომისია გზათა უფროსის თანაშემწის ამხ. აბრამოვის მეთაურობით, რომელსაც დავალებული აქვს გააუმჯობესოს ხაზის აგენტების მუშაობის მეთოდები. კომისია ჩამოივლის ყველა სადგურებს.

განათლების ფრონტზე

ტერმინოლოგიური კომიტეტი.

განათლების კომისარიატთან არსებული სატერმინოლოგიო კომიტეტმა მიიღო გრიგოლ ჯულელის მიერ შედგენილი პროფესიათა ტერმინოლოგია, რომელიც შეიცავს 600 სიტყვაზე მეტს და აგრეთვე საბუხჰალტერიო-საფინანსო ტერმინოლოგია შედგენილი ბესარიონ მჭედლიძის მიერ 200-მდე სიტყვით.

საქართველოს ისტორიულ ნივთების გადმოტანა უკრაინიდან.

განათლების კომისარიატი შეუდგა უკრაინის მუზეუმებში დაცულ საქართველოს ისტორიულ ნივთების კოლექციათა საქართველოში გადმოტანის საქმეს.

მთიელთა საბავშვო სახლი.

განათლების კომისარიატმა მთიელთა საბავშვო სახლი გადიტანა თბილისიდან მანგლისში. სახლში მოთავსებული იქნება 70 ბავშვი.

დაღესტანის მუზეუმში დაცულ საქართველოს ისტორიული ნივთების შესახებ.

განათლების კომისარიატის მიერ აღძრულია შუამდგომლობა დაღესტანის (მახაჩკალაში) მუზეუმში მოთავსებულ ქართულ არქეოლოგიურ მასალათა საქართველოსათვის გადმოცემის შესახებ.

დოლი

მეექვსე დღე, კვირა, 31 მაისი

ამინდი კარგია, საკმაოთ ცხელა.

1 დოლი. ჯილდო 50 მან. დოლი დაბრკოლებებით სამხედრო მოსამსახურებისათვის სამწყობრო ცხენებზე. დისტანცია 2 ვერსი 8 დაბრკოლებით.

მონაწილეობენ: არდონი, ბარომეტრი, ალფავიტი, ბრუნეტი, ჰუსარი, არენდატორი, გრამ ტე, ობუხი და კორბუნი

პირველი მოვიდა გუსარი, მეორე—ალფავიტი, მესამე—ობუხი. სისწრაფე 2 წუთი 57 წამი.

2 დოლი. სასინჯი დოლი ორწლიან ცხენებისა და კვიცებისათვის. დისტანცია 300 საჟენი.

მონაწილეობენ: მადრა, ელ[illegible], გულივერი, ზორკა, ვაშა, ვარდი და ბიბიჩა.

პირველი მოვიდა გულივერი, მეორე—ვაშა, მესამე—ზორკა. სისწრაფე 43 ნახ. წამი.

3 დოლი. ჯილდო 80 მან. დისტანცია 2 ვერსი.

მონაწილეობენ: სარდარი, მილანი, მამური და საარიტი.

ადგილიდან პირველი მიდის მილანი, მას უკან მისდევს სარდარი, შემდეგ დანარჩენები.

მარჯვენა მოსახვევთან სარდარი თანდათან უახლოვდება მილანს. ტრიბუნასთან მოახლოვებისას მილანი უეცრათ დაეჯახა ბარიერს და მხედარი [illegible] ბარიერს იქით გადავარდა. ცხენმა ფეხი იღრძო, მხედარი არ დაშავებულა.

პირველობა რჩება სარდარს, მეორე მოვიდა საარიტი, მესამე—მამური. სისწრაფე 2 წ. 34 წამი.

4 დოლი. ჯილდო 100 მან. დისტანცია 2 ვერსი და 144 საჟენი.

მონაწილეობენ: ცოტო, გრელო და ლედა.

ადგილიდან პირველი გარბის გრელო და პირველობას ინარჩუნებს ბოლომდი. მეორე მოვიდა ცოტო, მესამე—ლედა. სისწრაფე 2 წ. 58 წამი.

5 დოლი. ჯილდო 80 მან. დისტანცია 1 ვერსი და 100 საჟენი.

მონაწილეობენ: კისმეტ-ალი-ხანი, ზულფიგარი, რიგვერა და პტი-შუ.

მთავარი მეტოქეებია კისმეტ-ალი-ხანი და პტი-შუ. დოლს იგებს კისმეტი და მოდის კიდევ პირველი მეორე—პტი-შუ, მესამე—ზულფიგარი. სისწრაფე 1 წ. 26 წამი.

6 დოლი. სასინჯი დოლი ორწლიან ცხენებისა და კვიცებისათვის. დისტანცია 300 საჟენი.

მონაწილეობენ: ვარსკვლავი, ვაშლოვანი, ვენახი, ვერაგი, ვაზი და ვედრება.

პირველი—ვერაგი, მეორე—ვაზი, მესამე—ვედრება. სისწრაფე 4[illegible] წამი.

შემთხვევები

— **ავტომობილის გადავარდნა ხევში.** 31 მაისს, დილის 4 საათზე, სოფ. ბაკეთიდან (თბ. მაზრა) მომავალი ცენტრო ტრამოტის ავტომობილი დატვირთული მოქ. მიხეილ სვანიძის ოჯახის ავეჯეულობით გადაბრუნდა ხევში და დაიმტვრა ავეჯეულობიანათ. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

— **ხიდან ჩამოვარდნა.** 29 მაისს დილით პლეხანოვის ქ. № 9 სახლის პირდაპირ ხიდან ჩამოვარდა 12 წლის ბავშვი, რომელიც სასიკვდილოთ დაშავდა.

— **დაჭრა.** 28 მაისს ღამით სოფ. თელეთში (თბ. მაზრა) დღეობაში ჩხუბის დროს ვასილ ზარაქაშვილმა დახის თავში დარტყმით მოჰკლა ვანო ხვარცხალაშვილი. დამნაშავე შეიპყრეს.

— **თავის მოწამვლა.** 29 მაისს საღამოს 9 საათზე, კომუნალური ქ. № 19, სიმთვრალის გამო თავი მოიწამლა გიორგი ჯავროვამ, რომელიც გადაგზავნილი იქნა 1-ლ საავადმყოფოში.

— **თავის მოკვლის** მიზნით 31 მაისს, ღამის 11 საათზე აერობის ჩიხი № 14 მოქ. ნუსია ჯაღალოვამ თავი მოიწამლა ნავთალინის სითხით, მიზეზი გამოურკვეველია.

— **გვამის პოვნა.** 31 მაისს, ძველ სასაფლაოს მახლობლად მტკვარმა გამოიყარა უცნობი ქალის გვამი, დაახლოებით [illegible]5 წლისა.

გაძარცვა. რამდენიმე დღის წინეთ სოფ. მშრალ ხევის მახლობლად ყაჩაღებმა გაძარცვეს თბილისიდან მიმავალი მეურმეები მიხა და ვანო კოტოშვილები და მიტრო ზარიძე.

— **ქალის მოტაცება.** სოფ. გუდანელებში მცხოვრებ თამარა ქერაულს, რომელიც საქონელს აძოვებდა ტყეში მიუხტნენ მოსატაცებლად იოსებ არაბული და ნიკო ბერდული. ქალმა თავს უშველა გაქცევით. დამნაშავენი შეიპყრეს.

— **შეპყრობა.** სოფ. ჯიხოში შეიპყრეს საყაჩაღოთ ახლად გასულნი ძგლიაშვილი და მეტიაშვილი.

— **უბინაობის გამო** 30 მაისს, ღამით მტკვრის პირას მძინარე სანდრო ბერძენაძეს, სოფ. ბიდრეგეთი, გორის მაზრა, ჯიბიდან ამოაცალეს 14 მან.

— **მორგებული გასაღების** საშუალებით 30 მაისს ევგენიევის ჩიხი № 3 გაქურდეს ვალერიან ფხაკაძის ბინა. წაიღეს 175 მან.

— **ქურდობა.** 31 მაისს, დილით მეჩნიკოვის ქ. № 3 მიხეილ გაზაევის ბინიდან მოიპარეს 70 მან. ნივთები.

— 30 მაისს დილის 11 საათზე პლეხ. პრ. № 132 ბანდა ნოდიას ბინიდან მოიპარეს 110 მანეთის ნივთები.

— **დიდების აგარაკთან** მდებარე მეცნიერის ბაღიდან მოიპარეს სხვა და სხვა სამეურნეო იარაღები 200 მან.

მუშათა ცხოვრება



ამხ. ნინო ენუქიძე

(მისი 25 წლის მოღვაწეობის გამო)

ნინო გიორგის ასული ენუქიძე დაიბადა გორის მაზრაში, სოფ. საქაშეთში, 1874 წელს 22 იანვარს მეტად ღარიბი გლეხის ოჯახში.

10-წლის ნინო უკვე დაქვრივებულმა დედამ მისცა (1886 წ.) გორის ქალთა პროგიმნაზიაში, რომელიც ნინომ დაამთავრა 1891 წელში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა ქალი სახლში დარჩა 7 წელი და 1898 წლიდან კი იწყება მისი სახალხო მოღვაწეობა.

1898 წელს ის მიიწვიეს მასწავლებლად ვერის ვაჟთა საკვირაო სკოლაში, სადაც დაჰყო 1906 წლამდე, ხოლო მასწავლებლობის დროსვე 1900 წლიდან დანიშნეს ის ვერის წიგნთსაცავ-სამკითხველოს გამგედაც, სადაც ის ერთგულად ემსახურებოდა ქართულ სახალხო საქმეს. იგი მუშაობდა ხსენებულ წიგნთსაცავ-სამკითხველოში 1921 წლამდე. იმავე წელს 1-ლ აპრილიდან გადაყვანილ იქნა ცენტრ. მუშათა კლუბის წიგნთსაცავ-სამკითხველოში (პლეხანოვის პროსპ.) აქ ნინო კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას და თავისი განუწყვეტელი შრომით აღტაცებაში მოჰყავდა მკითხველი საზოგადოება. ბევრჯერ დაწერილა გაზეთებში ქება მისი ერთგული მუშაობისა და მშრომელი ხალხის ხელის შეწყობის შესახებ სწავლა-განვითარების დარგში.

ნინო მუშაობდა ცენტრ. მუშათა კლუბის წიგნთსაცავ-სამკითხველოს გამგედ 1925 წ. მარტის 15-მდე; ამ ხანად ის ითვლება იმავე კლუბის სამკითხველოს გამგედ.

მოქ. ნინო ეხლაც ერთგულად და დიდი სიყვარულით ემსახურება მშრომელთა განვითარების ტაძარს. ვინ არის ისეთი, მისი წიგნთსაცავ-სამკითხველოში მოსიარულე მკითხველთაგანი, რომელსაც არ მიეღოს სწავლა-განვითარება ნინოს დახმარებით და ხელის შეწყობით...

ნინო თანამშრომლობდა 1905 წლიდან ჟურნალ „ჯეჯილში“, რომლის ფურცლებზედაც ათავსებდა საკუთარ წერილებს და ნათარგმნებსაც რუსული ენიდან.

აი, ეს 25 წელი, ამ სახალხო ერთგულ და დაუღალავ შრომაში გაატარა ნინო ენუქიძემ (1900 წ-დან 1925 წლამდე), ემსახურება ის ქართველ ხალხს და კიდევაც შეუდრეკლად ემსახურება ამ დიად საზოგადო საქმეს ეს ჭაღარა შერეული, მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის თავგანწირული ადამიანი...

ვუსურვებ ხანგრძლივ სიცოცხლეს ძვირფას დაუღალავ მუშაკს.

მკითხველი: ლ. მჭედლიშვილი.

ჩვენც გვეკუთვნის ერთი თვის შვებულება

(რკინ. გზის უბნკავშირის საყურადღებოდ)

რკინ. გზის მთავარ სახელოსნოების გამხურებლები წარსულ წლებში სარგებლობდენ თითო თვის შვებულებით. მაგრამ რაღაც მიზეზით ეს მოგვისპეს მათ და მისცეს მათ შვებულება ორი კვირის ხანგრძლივობით როგორც სხვა მუშა-მოსამსახურეებს. ჩვენ კი გვეძლეოდა დამატებითი ორი კვირის შვებულება იმიტომ, რომ ჩვენი მუშაობა არის ცეცხლთან. ცენტრიდან განკარგულება კი ამბობს, რომ ვისი სამუშაო ადგილში სიცხე აღემატება 30 გრადუსს, იმას ეკუთვნის დამატებითი ორი კვირის შვებულებანი. ეს განკარგულება ჩვენზე არ გაავრცელეს.

კარგი იქნებოდა, უბნკავშირი მიაქცევდეს ყურადღებას და გამოასწორებდეს ამ უკანონობას.

მუშა სიონელი.

ამ საზიზღრობას ბოლო უნდა მოეღოს

(ქალ. მილიციის საყურადღებოთ).

პლეხანოვის პროსპ. სასტუმრო „1-ლი ცენტრ. მშრომელთა არტელი“ („ოტელ ნორ“-ს გვერდით) წარმოადგენს სისაძაგლის ბუდეს. ყოველ ღამე „ძველი ყაიდი“-ს მოქეიფე ქალ-ვაჟნი გამოდიან და ქუჩაში აურზაურს სტეხენ და საზიზღრობას სჩადიან.

საჭიროა ამ მოვლენას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს და ეს სასტუმრო სულ მთლად დაიკეტოს.

მეშკორი ელვა.

ბოლო მოუღეთ ამ უწესრიგობას

(ჯანსახკომის საყურადღებოდ).

ჩვენ ბევრჯერ დაგვიწერია გაზეთის ფურცლებზე უსუფთაობის შესახებ. მაგრამ საუბედუროდ, უსუფთაობას მაინც ადგილი აქვს ამბულატორიაშიც კი. აი მაგალითად ყოფილი კადეტების კორპუსში არის მუშათა ამბულატორია. აქ, პირველ ოთახში სდგას მაგიდა, სადაც რიგის №№ აძლევენ; იმავე ოთახში ელოდება ხალხი ექიმს; იმავე ოთახში ნემსებს უკეთებენ ქალებს და კაცებს ერთად. ეს ერთი ოთახი გახლავთ მისაღებიც, სალოდინოც და წამლობასაც აქ ახერხებენ ფერშლები.

ყველაფერი ეს ჰქმნის უსუფთაობას და სხ. ნუ თუ ამ ვეებერთელა სახლში ვერ შეინახეთ თავისუფალი ოთახი?

მუშკორი—ი. ჯ.

ლოზუნგი გამოსცა: „პროლეტარებო და დაჩაგრულო ერებო ყველა ქვეყნისავ, შეერთდითო“! ვილაც ამხანაგმა მკითხა:—როდის მოახდინა აღმასრულებელმა კომიტეტმა ლოზუნგების შეცვლის შესახებ განკარგულებაო? მე მართლაც არ მაგონდება ეს. რა თქმა უნდა, „კომუნისტური მანიფესტის თვალსაზრისით ეს სწორი არ არის. „კომუნისტური მანიფესტი“ დაწერილია სულ სხვა პირობებში, მაგრამ დღევანდელი პოლიტიკური თვალსაზრისით ეს მართალია!.. (იხ. Ленин. Полное собрание сочинений“ т. XVII, გვ. 394-395).

ასეთია ლენინის აზრი ნაციონალურ საკითხზე და ნაციონალურ მოძრაობაზე. და მართლაც, თვით ის ფაქტი, რომ არსებობს მესამე ინტერნაციონალი, რომელსაც თავის დროშაზე უწერია არა მარტო პროლეტარიატის ინტერესების დაცვა, არამედ დაცვა ყველა ჩაგრული ერების ინტერესებისაც, იმისი ცხადი მაჩვენებელია, რომ კომუნისტებისთვის ნაციონალური საკითხი ერთ-ერთ უდიდეს პრობლემას შეადგენს, რომ დღეს დაჩაგრული ერი, ნაცია, ისეთივე უფლებამოსილია მესამე ინტერნაციონალში, როგორც თვით პროლეტარიატი, როგორც მუშა და გლეხი.

XXIII

ყოველი ამის შემდეგ ჩემი მეგობარი მისაყვედურებს: შენ საქართველოს ეროვნული მეობის დაცვას ცდილობ და იმავე დროს კომუნისტურ ხელისუფლებას, საბჭოთა კონსტიტუციას ემყარებიო.

აბა ვისზე და რაზე უნდა დავემყაროთ? ვისი იმედი უნდა ვიქონიოთ. ურუსეთოთ არა თუ ისეთ პატარა ქვეყანას, როგორიც საქართველოა, თვით ევროპის უდიდეს სახელმწიფოებსაც კი ვერ წარმოუდგენიათ არსებობა. აბა, როგორ შეუძლია საქართველოს რუსეთთან დაკავშიროთ, მასთან კეთილ განწყობილების გარეშე არსებობა?

— ეს ვერც მე მე წარმომიდგენია, —მიპასუხებს ჩემი მეგობარი:—საქართველო რუსეთთან ყოველთვის იქნება კარგ განწყობილებაში, მხოლოდ ჩვენ კომუნისტურ რუსეთთან არ გვინდა ვიყოთ, ჩვენ მასთან კავშირი გვაშინებსო.

ეს აზრი ჩემს მეგობარს ნ. ჟორდანიას არსენალიდან უსესხებია და ისე შეუსისხლხორცებია იგი, რომ დღეს თავის საკუთარ აზრად ასაღებს.

ნ. ჟორდანია პირდაპირ გვეუბნება: საქართველოს იმედი უნდა ჰქონდეს, რომ მის დამოუკიდებლობას ხელს შეუწყობს მოსკოვიც, მას შემდეგ, როცა იქ რევოლიუცია მოხდება, როცა იქ ბოლშევიკები დამარცხდებიანო.

ნ. ჟორდანიას ასეთ აზრს ჩვენ გაკვრით უკვე შევეხეთ; ახლა ვსარგებლობთ შემთხვევით და გვინდა ერთხელ კიდევ შევაჩეროთ ამ საგანზე მკითხველის ყურადღება.

ჩვენ ვსთქვით და ვიმეორებთ, რომ არც ერთი რუსეთი,—სულ ერთია სოციალისტური იქნება ის თუ ფაშისტური,—გარდა საბჭოთა რუსეთისა, არა თუ არ დაეხმარება საქართველოს დამოუკიდებლობას, პირიქით მოიქცევა ისე, როგორც მოიქცა პავლე პირველისა და ალექსანდრე პირველის რუსეთი, ესე-იგი წაართმევს მას მის სუვერენულ უფლებებს და საქართველოს გახდის რუსეთის ერთ-ერთ გუბერნიათ.

ჩვენ ერთ-ერთ წერილში უკვე აღვნიშნეთ ის გარემოება, რომ რუსეთი თვითონაც არ ვარგა კავკასიის აქეთა მხარის გარეშე, რადგანაც ეს მხარე წარმოადგენს ევროპისა და აზიის შემაერთებელ „კორიდორს“ და რუსეთსაც უნდა ექნეს საშუალება ამ „კორიდორით“ სარგებლობისა. ეს უზარმაზარი რუსეთი გადაჭიმულია ორი ოკეანეს შუა, გარს შემორტყმულია ზღვებით და იმავე დროს მას თავისუფალი გასავალი არ მოეპოვება ზღვაზე. ის ჩაკირულია თავის საზღვრებში და გასაქანი არ მოეძებნება. დღეს ეს იმდენად აშკარაა, რომ ამას ყველა გრძნობს, ყველა ხედავს. რუსეთი ამას გრძნობდა თავის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლის პირველ დღიდანვე. ზღვით თავისუფლად სარგებლობა, ზღვის ჰაერით თავისუფლად სუნთქვა—შეადგენდა ძველი რუსეთის ბედის გამგეთა ოცნების საგანს. რუსეთის პოლიტიკა, დაწყებული დიდი მთავარი ივანე III-დან და გათავებული ნიკოლოზ II-თი სწორედ ამ მხრით იყო მიმართული. ივანე III ოცნება ბიზანტიის მემკვიდრეთ გახდომის შესახებ, მისი დაქორწინება სოფიო პალეოლოგთან, ბიზანტიის ორთავა არწივის [illegible] რუსეთის გერბად მიღება,—ყოველი ეს, თუმცა ვითომ მახლობელი აღმოსავლეთის ქრისტიანობის ინტერესების დაცვის სურვილით, ამ ქრისტიანობის მოსკოვს მეთაურობით გაერთიანების სურვილით, მაგრამ ეს ნაკარნახევი იყო მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ეკონომიური ინტერესებით, დარდანელის სრუტეების ხელში ჩაგდების სურვილით.

რუსეთმა ვერ შესძლო თავისი ასეთი იდეალის განხორციელება. მან ვერც დასავლეთისაკენ შესძლო გასავალი გზის მონახვა. მისი ძლევამოსილი მოძრაობა შეჩერებული იქნა ფინეთის ჭაობებთან. პეტერბურგის გენიალური დამაარსებელი იძულებული შეიქნა ბალტიის ზღვის კიდეზე აღმართულ კედელში მხოლოდ ევროპისაკენ ფანჯრის გამოჭრით დაკმაყოფილებულიყო. მაგრამ, მოგეხსენებათ, ფანჯრიდან მხოლოდ რაიმეს დანახვა შეიძლება, ეს კიდევ უფრო აღიზიანებდა რუსეთის მადას. ევროპასთან დასაახლოვებლათ, მასთან საალებ-მიცემო კავშირის დასაჭერად საჭირო იყო უფრო მოხერხებული გზები, ზღვა. რუსეთმა ეს ვერ შესძლო, რადგანაც იმ დროს უკვე წელში გამართული იყვნენ ევროპის სახელმწიფოები, ისინი სრულიად საკმაო ძალას წარმოადგენდენ იმისთვის, რომ რუსეთის სრბოლა შეეჩერებიათ დასავლეთის მხრით. რუსეთი იძულებული შეიქნა მთელი თავისი ძალ-ღონე აღმოსავლეთისაკენ მიეპყრო. ეს საქმე ისტორიამ პეტრე დიდს დააკისრა. ის თვითონ წარუძღვა თავის მხედრობას სპარსეთისაკენ. მაგრამ ის ვერ მოესწრო მისი ასეთი მიზნის განხორციელებას. ეს მიზანი დარჩა ისევ ისე ძველებურად, ის ისევ ისე ღვიოდა რუსეთის ხალხის ზედა ფენების სულის სიღრმეში. ეს საკითხი არ შეადგენდა მარტო დიპლომატიის საგანს; ის გამძახილს ჰპოულობდა რუსეთის ხალხის ყველაზე უფრო მგრძნობიარე ნაწილში, მის ნაციონალურ მწერლობასა და აზროვნებაში. იმავე იდეალს ემსახურებოდენ რუსეთის ყველა პოლიტიკური პარტიებიც.

ამ მხრით საინტერესო შევასწავლოთ რუსეთის ორი უდიდესი ნაციონალური მწერალი—პუშკინი და დოსტოევსკი.

პუშკინი, რომელიც თავის შემოქმედებაში ყველაზე უფრო თავისუფლების მოყვარე პოეტი იყო, რომელსაც სულს უხუთავდა მაშინდელი უმაღლესი საზოგადოების ცხოვრება, პუშკინი, როგორც ადამიანის პიროვნების თავისუფლების იდეალის თავისუფლად მომთაბარე „ციგნებში“ ეძებდა, კავკასიის დაპყრობის საქმეში უდიდესი მეომრის ტემპერამენტს იჩენს. როცა პუშკინის ღვთაებრივი მუზა უახლოვდება კავკასიონის ქედს,—ამ „აზიის მჭველ საზღვარს“, როგორც ის მას ეძახის, ის ხელიდან აგდებს მოწკრიალე ქნარს, იღებს ხელში ბრძოლის საყვირს და კავკასიის ერების თავისუფლების აშკარა მტრად გამოდის. პუშკინს, როგორც სამართლიანად შენიშნავს პროფესორი ს. ა. ვენგეროვი,—„კავკასიის დაპყრობა რუსეთის ისტორიულ მისიათ ეჩვენებოდა“. აქედან გამომდინარეობდა მისი მტრული დამოკიდებულება კავკასიაში მობინადრე ერებისადმი. ამიტომ არის, რომ ის თავისს ქნარით უგალობს კავკასიის ჯალათებს: თ-დ ციციანოვს, კოტლიარევსკის, ერმოლოვს.

ვინ არ დამტკბარა პუშკინის შესანიშნავი პოემით „კავკაზსკი პლენნიკით“; ბევრ ჩვენგანს ის ზეპირადაც უსწავლია. მაგრამ ბევრი ჩვენგანი არ დაკვირვებია ამ პოემაში გამოთქმულ კავკასიის თავისუფალი ერების უდიდესი ჯალათების პანეგირიკას. აიღეთ და გადაიკითხეთ ამ პოემის ეპილოგი *) და თქვენ იქ დაინახავთ ამ ჩვენი სიტყვების სრულ სიმართლეს.

მერე ვინ არიან ეს გმირები? რა ისეთი საქმეები ჩაიდინეს მათ, რომ ასეთის გატაცებით აქებს რუსეთის უდიდესი პოეტი? ჩვენ ხელთა გვაქვს გენერალი ერმოლოვის ნაწერები და ნებას მივცემთ თავს აქენდ იქედან სულ რამდენიმე მაგალითი მოვიყვანოთ იმისა, თუ როგორ სპობდა, როგორ ანადგურებდა ის ფიზიკურად კავკასიის თავისუფალსა და თავისუფლების მოყვარე ერებს.

ერმოლოვი სწერს:

„მე გავგზავნე ჯარი ყუბანის გაღმა სოფლებში... სრულიად მოულოდნელად ჯარი თავს დაესხა ნაგაელების სოფელს. დახოცეს 300 კაცი ასაკისა და სქესის გაურჩევლათ. ტყვეთ წამოიყვანეს 566 კაცი; წამოასხეს 2000 მსხვილი პირუტყვი“. (გვ. 150). „ვუბრძანე მოესპოთ სოფელი. სხვათაშორის აიკლეს და სულ ერთიანად მოსპეს უმშვენიერესი პატარა ქალაქი ულუ-აილუ, ცეცხლით გადაბუგეს 800 სახლი. ქალაქის მცხოვრებლები ისე დამფრთხალიყვნენ ჩვენი მოულოდნელის თავდასხმით, რომ არა თუ რამე საქონლის წაღება ვერ მოასწრეს, რამდენიმე ძუძუთა ბალღებიც კი იქვე დაეტოვებიათ“. (გვ. 98). „მე გენერალ სისოევს ვუბრძანე ალყა შემოერტყა მდ. თერგზე მდებარე სოფელი დანახ-იურტისათვის და წინადადება მიეცა მცხოვრებლებისთვის დაუყოვნებლივ დაეცალათ სოფელი და წასულიყვნენ იქედან. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუბრალებლად (никому не давая пощады) დაესაჯა ისინი არტილერიის ცეცხლით. ჩეჩნებმა სოფლის დატოვება არ მოისურვეს. სისოევმა ბრძანება აღასრულა. ბევრი მცხოვრებლები, როცა მათ სახლებში ჩვენი ჯარისკაცები იარაღით ხელში ვარდებოდენ, თვითონვე თავისი ხელით ხოცავდენ ცოლებსა და ქალიშვილებს, რომ ისინი მტერს ხელში არ ჩავარდნოდათ. ამ ბრძოლაში ჩეჩნის ქალები ხანჯლებით ხელში ებრძოდენ ჩვენს ჯარებს. ყველა ისინი, რომლებიც იარაღს ატარებდენ, დახოცილ იქნენ. (თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მთიულები, არა თუ მაშინ, დღესაც უიარაღოთ სახლიდან კარში არ გამოდიან, უნდა ვიფიქროთ, რომ სოფლის ყველა მცხოვრებლები გაუჟლეტიათ, რადგანაც ყველა იარაღს ატარებდა. ჟ-ბი). დახოცილების რიცხვი იქნებოდა არა ნაკლებ 400 კაცისა. 140 ქალი და ბალღები ტყვეთ წამოიყვანეს, მაგრამ გაცილებით უფრო მეტი მათგანი იქვე დაკლეს, ან არტილერიის ცეცხლმა იმსხვერპლა. ჯარისკაცები დიდი ნადავლით დაბრუნდენ უკან, რადგან სოფელი მეტის მეტად მდიდარი იყო. ეს სოფელი 2000 კომლიდან შესდგებოდა. ის სექტემბრის 14 რიცხვს აღგვილი იქნა დედამიწის ზურგიდან“. (87—89).

პირდაპირ თმა ყალყზე გიდგებათ, როცა ეს ჯალათი გურიაში მომხდარ აჯანყებაზე და მის ჩაქრობაზე ლაპარაკობს. ეს იმდენათ საშინელია, რომ მისი აქ მოყვანა მეძნელება. ეს ჯალათი თვითონ გვეუბნება ამის შესახებ: „მეამბოხეთა სოფლები სულ ერთიანად დავანგრიეთ და გავანადგურეთ, ბაღები და ვენახები ავკაფეთ და ძალიან-ფესვიანათ მოვსპეთ ისე, რომ ეს მოღალატეები მრავალ წლის განმავლობაში ვერ მოვლენ თავის ჩვეულებრივ მდგომარეობაში. უსაშინლესი სილატაკე იქნება მათი ხვედრი“ (112). „სოფელი ჯანგუტაი...“ მაგრამ კმარა ამ საშინელების მოთხრობა! მთელი ის ფურცელ ქაღალდზე სულ ასეთი საშინელებაა მოთხრობილი, და ყოველ ამას ისე გულდამშვიდებით, ისეთის ეპიურის სიდინჯითა და დარბაისლობით მოგვითხრობს ეს ჯალათი, თითქოს მას რაღაც დიდი საგმირო საქმე ჩაუდენია, თითქოს ყველა უბედურებისაგან გადაურჩენია და ზნეობრივის კმაყოფილებით იგონებს თავის წარსულსო.

ასეთი იყო ერმოლოვი, ასეთი იყვნენ პუშკინის მიერ ცამდე აყვანილი ორი გენერალი—თავ.-დი ციციანოვი და კოტლიარევსკიც.

პირდაპირ გიკვირთ: რა უნდა ჰქონოდა საერთო ამ ჯალათებთან დიდ პოეტს? ამის პასუხს თვითონ გვაძლევს იგი თავის კერძო წერილში. აი რას სწერდა იგი თავის ძმას ს. პუშკინს:

„კავკასია, ეს აზიის მხურვალე საზღვარი,—ყოველის მხრით მნიშვნელოვანია. ერმოლოვმა იგი აავსო თავისი სახელითა და კეთილმყოფელი გენიით (Благотворным гением) ველური ჩეჩნები დამფრთხალი არიან, მათი ყოფილი თავხედობა ქრება“.

რაში მდგომარეობს „ერმოლოვის კეთილმყოფელი გენია?“ რა გააკეთეს ისეთი კავკასიის ერების ამ ჯალათებმა, რომ პოეტი აქებს?

„იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს დაპყრობილი მხარე, რომელსაც ამდენხანს არავითარი სარგებლობა არ მოჰქონდა რუსეთისათვის, მალე შეგვაერთებს ჩვენ სპარსელებთან უშიშროს ვაჭრობით, არ გადაეღობება წინ მომავალ ომებში და შეიძლება ჩვენ აღვასრულოთ ნაპოლეონის ხიმერიული პლანი ინდოეთის დაპყრობის შესახებ“. ასე სწერდა პუშკინი 1820 წ. 24 სექტემბრის თარიღით.

აი ის იდეალი, რომელსაც ის ხავდა პუშკინი. პოეტის აზრით, ეს შეადგენდა თვით რუსი ხალხის ისტორიულ მისიას და ამის შემდეგ რა გასაკვირალია, რომ ის აქებს და ადიდებს ჯალათებს, რომლებიც „როგორც შავი ჭირი, ისე ავლებენ მუსრს“ კავკასიაში მობინადრე ერებს... მარტო ის კი არ არის საკვირველი, რომ პოეტი ამას სწერდა, კიდევ უფრო საკვირველი ის გარემოებაა, რომ მის—კავკასიის ერების სისხლით შეღებილ პოემას მთელი თანამედროვე პრესა გამოეხმაურა, ყველა ქება-დიდებით შეხვდა მას, არავის, რუსის არც ერთ მწერალს, რამდენადაც ვიცით, აზრადაც არ მოსვლია პოეტისთვის ესაყვედურებია ის, რაზედაც აქ ჩვენ ვლაპარაკობთ. ერთად-ერთი მწერალი, რომელმაც ამას ყურადღება მიაქცია იყო თ.-დი პ. ვიაზემსკი და მანაც თავისი უკმაყოფილება მხოლოდ კერძო წერილში გამოსთქვა და ისიც თვითონ პოეტისადმი მიწერილში კი არა, არამედ ვ. ტურგენევისადმი მიწერილში.

კიდევ უფრო გამოაშკარავდა პუშკინის მტრული დამოკიდებულება კავკასიის ერებისადმი პოეტის „ერზერუმში მოგზაურობის“ დროს.

ეს „მოგზაურობა“ პოეტმა მით დაიწყო, რომ, თითქოს კურთხევას სთხოვაო, ესტუმრა ერმოლოვს, რომელიც ამ დროს (1829 წ.), ქ. ორიოლში ცხოვრებდა „უსაქმოთ“, თუმცა ამიტომ პოეტს დასჭირდა 200 ვერსით მეტი გზის გავლა, რაც იმ დროს ცოტას არ ნიშნავდა...

პოეტმა კავკასიაში და კერძოთ საქართველოში ვერაფერი საყურადღებო ვერ ჰპოვა. მან საქართველოში ქართველი ხალხიც ვერ შენიშნა. ყოველ შემთხვევაში მას სიტყვა ქართველი ორჯელ თუ სამჯელ აქვს ნახმარი და ისიც მაშინ, როცა ამ ხალხით ან მისი წარმომადგენელით უკმაყოფილოა. თბილისთან გაცნობას ის იწყებს ისეთი კურიოზით, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს არასერიოზულ ნაწარმოებში, არამედ პარიზის ბულვარების რომანში. აბანოს პატრონ თათარს ის შეცდომით შეჰყავს საზოგადო აბანოს ქალების განყოფილებაში და პოეტი შთამომავლობას უტოვებს ასეთ რეპლიკას: „ქართველი მოხუც დედაკაცზე უფრო საზიზღარი არაფერი ვიციო. ეს ნამდვილი კუდიანები არიანო“... მართალია, პოეტს ამ „კუდიანი დედაკაცებისთვის“ პიროვნების მოწმობა არ მოუთხოვია, და მას არც ის უნდა სცოდნოდა, თუ რომელი ნაციის წარმომადგენლები იყვნენ ის „კუდიანები“.

მაგრამ პოეტმა საზიზღარი ადამიანები დაინახა და ვინ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, თუ არა ქართველები? მას მხოლოდ პირველად ახლა მოაგონდა, რომ საქართველოში ქართველები სცხოვრობენ; აქამდე მას ერთხელაც არ აგონდება ეს გარემოება. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ამის საბუთს მის „მოგზაურობაში“ ვერ ვპოულობთ. მაგრამ შემდეგი ეპიზოდი კიდევ უფრო ახასიათებს პოეტის იმპერიალისტურ სულის განწყობილებას. ის თბილისიდან ერზერუმისაკენ მიემგზავრება. ქართლის სოფელშია. მოსახლეობის ნიშან-წყალი არა სჩანს. როგორც იქნა გამოჩნდა განმარტოებული სახლი. გამოდის სახლის პატრონი. პოეტი მას წყალს სთხოვს ჯერ რუსულად, ქართველ გლეხს რუსული არ ესმის. შემდეგ ის თათრულად უმეორებს თავის მოთხოვნილებას. ქართველ გლეხს არც თათრული გაეგება. პოეტი აღშფოთებულია.

— საკვირველი დაუდევრობაა! თბილისიდან სულ 30 ვერსის მანძილზე, სპარსეთისა და სათათრეთისაკენ მიმავალ გზაზე, ქართველმა არც რუსული და არც თათრული ლაპარაკი არ იცის!—ასე შფოთავს გულმოსული პოეტი და საბუთიც აქვს. 30 წელიწადი უკვე გასული იყო მას შემდეგ, რაც ციციანოვები, კოტლიარევსკები და ერმოლოვები ქართველი ხალხის „განათლებას“ შეუდგენ და ამ ხალხს კიდევ ვერ მოუსწრიათ თვისი დედა ენის დავიწყება და რუსულის შეთვისება! ეს მართლაც, რომ აღმაშფოთებელი გარემოებაა და პოეტიც შფოთავს!

პოეტი კიდევ უფრო აღშფოთებულია თათრის სოფელში. ის კარაკლისიდან სულ 20 ვერსის მანძილზე თათრის სოფელშია.

— როცა ცხენიდან ჩამოვხტი,—სწერს იგი,—მე მსურდა პირველ სახლშივე შევსულიყავი, მაგრამ კარებში სახლის პატრონი თათარი დამიხვდა და არ შემიშვა—მე მათრახით გავეცი პასუხი მის ასეთ სტუმართმოყვარეობაზე“. —რატომ? იმიტომ, რომ საწყალ თათრის გლეხს, რომელსაც ერთად-ერთი ქოხი აქვს, რომელშიაც მას ცოლშვილი ჰყავს და დედა-კაცებთან ხონის ადათის ძალით გარეშე მამაკაცებს ვერ შეუშვებს, პოეტი ამათრახებს იმიტომ, რომ სტუმართმოყვარეობას რატომ არ იჩენო!

ასე იქცევა გენიოსი პოეტი საქართველოში. პუშკინს რუსთველის სამშობლოში გარდა „კუდიანი დედა-კაცებისა“ და ვირებისა ვერაფერი ვერ დაუნახავს საყურადღებო. მას არც აინტერესებს ამ ერის არც ლიტერატურა, არც ხელოვნება, არც აზროვნება, არც ისტორია, არც სარწმუნოება. არ აინტერესებს

---

*) აი ამ ეპილოგის ჩვენთვის უფრო საყურადღებო ადგილი:

„И воспою тот славный час,
Когда, почуя бой кровавый,
На негодующий Кавказ
Поднялся наш орел двуглавый;
Когда на Тереке седом
Впервые грянул битвы гром
И грохот русских барабанов,
И в сече с дерзостным челом,
Явился пылкий Цицианов·
Тебя воспою, герой,
О, Котляревский, бич Кавказа!
Куда ни мчался ты грозой—
Твой ход, как черная зараза,
Губил, ничтожил племена...
Но се—Восток под‘емлет вой!..
Поникся снежной головой,
Смирись, Кавказ,—идет Ермолов!“

პროვინციაში

ქ. სამტრედია

ხანგრძლივი გვალვების შემდეგ მოვიდა წვიმა, რამაც ნათესები ძალზე შემოაბრუნა. ამას გარდა ბევრი მიწები დაუთესავი იყო. ისინი ყველა იქნა დათესილი. ასე რომ ამინდი ჯერ-ჯერობით ნორმალურათ უნდა ჩაითვალოს.

მთლ. კოოპ. „განახლება“-ს გამგეობას გადაუწყვეტია თანახმად გომის თემის მცხოვრებთა თხოვნისა ხელახლათ დაარღვიოს და ააშენოს პარკის სახმობი ფარდული, რომელიც ამ ეპომ შარშან გააკეთა და წელს ქარმა სულ დაანგრია. ეს ფარდული ადგილობრივ მცხოვრებთ დიდს დახმარებას უწევს...

აბრეშუმის მოსავალს ჯერ კარგი პირი უჩანს..

მთლ. კოოპ. „განახლება“-ს უკვე მოუვიდა 6 ვაგონი პურის ფქვილი, რომელსაც ჰყიდის ყველაზე 4 მ. 50 კაპ. ფუთს. ამან ძლიერ დასწია კერძო მოვაჭრეებში პურის ფასი. თუ უწინ გირვ. პური იყიდებოდა 12-დან 13 კ.-დე.-ეხლა ისინი ჰყიდიან 10 კაპეიკათ. კოოპერატივი და ზაკტპო კარგი ღირსების პურს ჰყიდიან 1 გ. 9 კაპეიკათ.

დაჩაგრული.

სოფ. ჭელია-ღელე

(რაჭის მაზრა)

არც მეფის მთავრობის, არც მენშევიკების დროს არ გაკეთებულა რაჭაში იმდენი საქმე, რაც გასაბჭოების შემდეგ.

ჩვენი სოფელიც დაწინაურდა ამ ოთხი წლის განმავლობაში:

გაყვანილი იქნა გზატკეცილი 25 ვერსის მანძილზე, შეკეთებულია ხიდები.

განზრახულია სოფლის შვიდწლედის გადაკეთება ცხრაწლედათ. ახალი სკოლისათვის შენობის ასაგებათ მომარაგებულია საჭირო მასალა. არსებობს მთლიანი მომხმარებელთა საზოგადოება, საკრედიტო ამხანაგობა და სხვა.

ჩვენი სოფლის გლეხობა ალტაცებით შეეგება ეკლესიის შენობის გადაკეთებას კლუბათ; ყველამ მიიღო მონაწილეობა მუშაობაში.

უკვე რვა თვეა მოეწყო სცენა. წარმოდგენის დარბაზში ეტევა 500 კაცამდე. წარმოდგენებს ადგილობრივი სცენისმოყვარენი მართავენ. შემოსავალი იდება სცენის გასაფართოებლად.

წითელარმიელი **ნ. ჭელიძე.**

ჯანმრთელობის საქმე გამოსწორდა

დილიკაურის თემი (შორ. მაზრა)

ეს თემი ძლიერ გაჭირვებას განიცდიდა უექიმობის გამო. საჭიროების დროს ხალხს უხდებოდა სიარული 9—10 ვერსის მანძილზე ექიმის მოსაყვანად, წამლის მოსატანად და სხვა.

ამჟამად ჩვენი თემის მდგომარეობა ამ მხრით შეიცვალა. დაარსდა საექიმო პუნქტი, სადაც ექიმთან ერთად მუშაობს ფერშალიც და მოკლე დროში ფიქრობენ ბებია ქალის დანიშვნას. შენობის უქონლობის გამო პუნქტი მოთავსებულია გ. საყვარელიძის სახლში. უკანასკნელი ძლიერ დაშორებულია თემის მცხოვრებლებზე. საექიმო პუნქტის დაარსებაში ინიციატივობა ეკუთვნის შორაპმაზ. ჯან. გან. გამგეს ამხ. ჭიჭინაძეს ამას წინედ ექიმი ჭიჭინაძე ეწვია ჩვენს თემს, დაათვალიერა თემის აბანო. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საექიმო პუნქტს, დარწმუნდა რა, რომ პუნქტი მეტად შეუფერებელ ადგილზეა და მოთავსებულია სოფლის განაპირას, აღუთქვა ად. საექიმო პუნქტის გამგეს მატერიალური დახმარება საექიმო პუნქტისათვის შენობის ასაშენებლად. დილიკაურის მშრომელი გლეხობა უღრმეს მადლობას სწირავენ ექიმ ჭიჭინაძეს და ღრმა იმედს გამოსთქვამს, რომ შეპირებული არ დარჩება სიტყვად, არამედ საქმედ იქნება ქცეული.

ამბროსი სალაძე.

შეფი გვეხმარება

სოფ. ბაზალეთი

10 მაისს სოფ. ბაზალეთში ჩამოვიდა ზაკავტოპრომტორგის უჯრედის საშეფო კომისია. მათ ჩამოსვლისას გლეხობის საკმაო რიცხვმა მოიყარა თავი. შეფმა ჩამოუტანა სოფლის სკოლას და სამკითხველოს მრავალი ლიტერატურა და სკოლის სასწავლო ნივთები. ინახულა სკოლა. სოფლის დათვალიერების შემდეგ გაიხსნა მიტინგი. სიტყვით გამოვიდა პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. აზრუმელაშვილი. შემდეგ გამოვიდა **ამხ. მზარეულიშვილი,** რომელმაც სთქვა: ჩვენ დაგვავალა 160 მუშამ ჩამოვსულიყავით თქვენთან და გაგვეგო თქვენი **ჭირ-ვარამი.** ჩვენ, მუშებს, გვაქვს სურვილი ვიცოდეთ თქვენი ყოფა-ცხოვრება და მოთხოვნილებები. მიტინგის დამთავრების შემდეგ კომუჯრედს გადაეცა წითელი დროშა. ულრმესი მადლობა ბაზალეთის შეფს.

ს. ნამორაძე.

პროვინციის ქრონიკა

— **სკოლის შესაკეთებლად.** სოფ. ჭყვიშში (ლეჩხუმი) შეუდგენ ადგილობრივი სკოლის შეკეთებას.

— **აბანოების შეკეთება.** შორაპნის გლეხკომმა გადასწყვიტა შეაკეთოს ყველა ის აბანოები, რომლებიც დაზარალდნენ დიდი და ცუდი ზამთრის გამო.

— **ბაღის მოწყობა.** სიღნაღის აღმასკომმა განიზრახა ადგილობრივ საზაფხულო **ბაღის მოწყობის** საქმე გადასცეს გლეხკომს.

ჩვენი ფოსტა

— **მგზავრ ცეცხლს.** მოგვაწოდეთ ცნობა, თუ სად მსახურობთ და ვის დაემუქრენ (სახელი და გვარი).

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 20

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

იმ სახლების გაყიდვის წესის შესახებ, რომლებიც დაგირავებული იყო საქართველოს ყოფილ საადგილმამულო ბანკებში და საჯარო ვაჭრობის დროს გაუყიდველი დარჩა

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ის სახლები, რომლებიც საჯარო ვაჭრობით არ გაიყიდა და საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წ. დეკემბრის 28-ს თარიღითა და მე-16 ნომრით გამოცემულ დეკრეტის ძალით თბილისის კომუნალურ ბანკს დარჩა, შეიძლება გაიყიდოს თავისუფალ ფასად და ამ სახლების კომუნალური ბანკის სახელზე დაუმტკიცებლად.

2. საჯარო ვაჭრობით არგაყიდული სახლის დასამტკიცებლად, როგორც ბანკის სახელზე, ისე მესამე პირის სახელზე, ბანკი ვალდებულია წარუდგინოს სანოტარო კანტორას ასლი იმ აქტისა, რომლითაც სახლი ბანკს დარჩა, რადგანაც ხელმეორე საჯარო ვაჭრობის დროს იგი არ გაიყიდა.

3. წინა მუხლში აღნიშნული აქტის ასლის თანახმად შესდგება სანოტარო აქტი, რომელსაც შემდგომი სავალდებულო რეგისტრაცია გაუკეთდება ოლქის სასამართლოს სანოტარო განყოფილებაში, რასაც ეს უკანასკნელი აცნობებს აღმასკომის კომუნალურ განყოფილებას.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარაძე.**

1925 წ. ივნისის 1.
თბილისი-სასახლე.

დადგენილება № 37

ა|კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში.

1925 წ. მაისის 30.

ერთიანი სავაჭრო რეესტრის შესახებ

თანახმად ა. კ. ს. ფ. ს. რ შინავაჭრობის სახ კომისარიატის ა|წ. მაისის 18-ს დადგენილებისა, № 44—ა|კ. ს. ფ. ს რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

1. დაევალოს სახელმწიფო სავაჭრო საწარმოებს და მათ შენაერთებს, რომელნიც უშუალოდ ექვემდებარებიან საქართველოს სოც. საბჭ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ან ცალკე სახალხო კომისარიატებს და აგრეთვე ავტონომიურ და მოკავშირე რესპუბლიკების სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და ცალკე სახ. კომისარიატებს, ბანკებს, საკრედიტო დაწესებულებებს და კოოპერატიულ კავშირებს, რომელთა სამოქმედო რაიონს აღნიშნული რესპუბლიკების ტერიტორია წარმოადგენს, სააქციო საზოგადოებებს (საპაიო ამხან.-გ.) და ამხანაგობებს შეზღუდული პასუხისმგებლობით, უკეთუ მათი დებულება და წესდება დამტკიცებულია აღნიშნული რესპუბლიკების საკანონმდებლო ორგანოების მიერ **წარუდგინონ ა|კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს ორი კვირის ვადაში დღ. დან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა ცნობები თანახმად ამა დადგენილების მე-2 მუხლისა** სავაჭრო რეესტრში შესატანად და აგრეთვე საბუთები (დებულება, წესდება სარეწავი მოწმობა და სხვ.), რომლებზედაც ხსენებული ცნობებია დამყარებული.

2. ამა დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნულ საწარმოთა შესახებ, სავაჭრო რეესტრში უნდა იქნეს შეტანილი შემდეგი ცნობები:

ა) საწარმოს სახელწოდება და ხასიათი (ფირმა).

ბ) დრო წესდების, დებულების დამტკიცებისა ან ამხანაგობის ხელშეკრულების დადებისა.

გ) სამყოფელი ადგილი საწარმოს, მისი ცალკე დაწესებულებათა კანტორებისა და სხვა.

დ) საწარმოს მიზანი და ოპერაციები.

ე) საწარმოს მოქმედების რაიონი.

ვ) ძირითადი საბრუნავი და სხვ. კაპიტალი.

ზ) ძირითადი კაპიტალის ფაქტიურად შეგროვილი ნაწილი.

თ) ფაქტიური შეთანაზრება კერძო და სახელმწიფო კოოპერატ[illegible] კაპიტალს შორის.

ი) სამყოფელი ადგილი გამგეობისა, მისი შემადგენლობა (გვარი სახელი და მამის სახელი, გამგეობის წევრებისა, დირექტორ-განმკარგულებლისა ან მმართველისა.

კ) სარეწავი მოწმობის № და კატეგორია.

ლ) საწარმოს არსებობის ვადა უკეთუ იგი განს ზღვრულია.

3. უცხოეთის საწარმოთა შესახებ გარდა ზემოაღნიშნული ცნობებისა, სავაჭრო რეესტრში უნდა იქნეს შეტანილი შემდეგი ცნობები:

ა) როდის ან სად დაარსდა საწარმო საზღვარ-გარეთ.

ბ) დადგენილება საკანონმდებლო ორგანოსი ამ საწარმოს სავაჭრო ოპერაციების საქართველოში წარმოების ნებართვის შესახებ.

გ) დრო, რომლითაც განსაზღვრულია საწარმოს სავაჭრო ოპერაციების წარმოება.

დ) საწარმოს მიზანი და ოპერაციები.

ე) კაპიტალის რაოდენობა.

ვ) საწარმოს პასუხისმგებელი წარმომადგენლის ან საგენტოს სამყოფელი ადგილი.

ზ) სახელი, გვარი და ქვეშევრდომობა პასუხისმგებელი წარმომადგენლისა ან აგენტისა.

კ) საწარმოს მოქმედების შეწყვეტის შესახებ საქართველოს ს. ს. ს. რესპუბლიკის ფარგლებში

4. ამ დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ საწარმოთა ხელმძღვანელები რომელნიც დაწესებულ ვადაში არ წარმოადგენენ მოთხოვნილ ცნობებს სავაჭრო რესტრში შესატანად, ან რომელნიც ყალბ ცნობებს წარმოადგენენ, პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებისა.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა|კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული **გამყრელიძე.**

სამმართველოს მდივანი **აბესაძე.**

ამ ერის წარსული. მან იცის ამ ერის მხოლოდ აწმყო და მომავალი. ამ ერის აწმყო ისეთია, რომ ის სულს ლევს პოეტის მიერ რუსეთის ნაციონალურ გმირებათ აღიარებულ ჯალათების ხელში; მისი მომავალიც პოეტისათვის აშკარაა: ეს ერი ან უნდა დაჩქარებით გარუსდეს, დაივიწყოს თავისი კულტურა და მოკვდეს, როგორც ერი, ან უნდა გაწყდეს ფიზიკურად, უნდა აღიგავოს საქართველოს ტერიტორიიდან და ეს ადგილი რუსეთს დაუთმოს.

ასეთი იყო პუშკინის იდეალი კავკასიაში და ის ამ შემთხვევაშიც ნამდვილი გამომხატველი იყო თუ არა რუსეთის ნაციონალური მისწრაფებისა, მისი გაბატონებული ნაწილის მისწრაფებების მაინც...

XXIV

შეიძლება მიბრძანოთ: ამ შემთხვევაში პუშკინი დამახასიათებელი არ არის ამ მისწრაფებისა. ის ნიკოლოზ პირველის სასახლის კარის კაცი იყო (კამერ-იუნკერი), თავისი წრისა და საზოგადოების პოლიტიკის გავლენას ქვეშ იყო და უნდა მოქცეულიყო ისე, როგორც მოიქცაო. მაგრამ დოსტოევსკი ხომ მეფის კარის კაცი არ იყო. ის ხომ პოლიტიკური კატორღელი იყო? აბა ვნახოთ, თუ როგორ ეპყრობა იგი რუსეთის ტერიტორიალური გადიდების, რუსეთის მიერ სხვისი ქვეყნების დაპყრობის საკითხს. დოსტოევსკი, „უბედური ადამიანების“ უდიდესი ვექილი დოსტოევსკი, რომელმაც თავისი გენიალური ინტუიციით ასდაათი-ორმოცი წლით ადრე სამაგალითოდ იწინასწარმეტყველა რუსეთის დიდი რევოლიუციის მოახლოვება, ის დოსტოევსკი, რომლის რასკოლნიკოვი უდიდესი და უსაშინელესი პროტესტი იყო არსებული საზოგადოებრივი წეს-წყობილების წინააღმდეგ, სიტყვა კონსტანტინეპოლის გაგონებაზე სულ ერთიანად ივიწყებს თავის უდიდეს მისიას ჩაგრულთა ვექილისას და მყისვე მებრძოლ ჯარისკაცად გამოდის. ის მზად არის თვითონ მიიღოს ომებში მონაწილეობა, მზათ არის სისხლი დაღვაროს, მხოლოდ კონსტანტინოპოლი კი რუსეთს დაარჩინოს. ის თვის „მწერლის დღიურში“ სწერს:

„კონსტანტინეპოლი ადრე თუ გვიან ჩვენი უნდა იქნეს... ოქროს რქა (Золотой рог) და კონსტანტინეპოლი—ყველა ეს ჩვენი იქნება“. „არაფერს ევროპას ჩვენ არ დაუთმობთ ამ საქმეში არავითარი მოსაზრებით იმიტომ, რომ ეს საქმე თვით ჩვენი სიკვდილ-სიცოცხლეა. კონსტანტინეპოლი ჩვენი უნდა იყოს“. **„ეს საშინელი აღმოსავლეთის საკითხი,—**ეს თითქმის მთელი ჩვენი მომავალი ბედია. მასში ერთად არის თავმოყრილი ყველა ჩვენი ამოცანები, **და რაც** კიდევ უმთავრესია, ჩვენი ერთად-ერთი გამოსავალი ისტორიის სივრცეში“.

რატომ რუსებს უნდა ეკუთვნოდეს კონსტანტინეპოლი და არა იმათ, ვისაც დღეს ეკუთვნის? რატომ რუსეთს უნდა ჰქონდეს თავისი სატახტო ქალაქი და თათრებს კი უნდა წაერთვას ამის უფლება?

იმიტომ, რომ „ასეთია რუსეთის ხალხის ისტორიული მისიაო“ გვეუბნება დოსტოევსკი. ამიტომ იცავს იგი კაცობრიობის ისეთ უბედურებას, როგორც ომია, ამიტომ გამოდის იგი ომის უდიდეს აპოლოგეტად.

„ომი ისეთი პროცესია, რომლის საშუალებითაც უფრო ნაკლები სისხლის ღვრით, ნაკლები მწუხარებით და ძალების დახარჯვით განვახორციელებთ ხალხთა შორის მყუდრო ცხოვრებას და სათნოებას და შევქმნით ნორმალურ დამოკიდებულებას სხვადასხვა ერებს შორის“.. „ხანგრძლივი ზავი ყოველთვის წარმოშობს ხოლმე სიმკაცრეს, სიმხდალეს, ზანტსა და ჩასუქებულ ეგოიზმს, რაც გონებრივ გაყინვას უდრის“... „ჩვენ თვითონ გვესაჭიროება ეს ომი; არა მარტო „მოძმე სლავიანებისთვის“, არა მარტო თათრების მიერ განაწამები ძმების დასახსნელად გავდივართ ჩვენ ბრძოლის ველზე, არამედ ჩვენი საკუთარი სიცოცხლისათვის. ომი სწმენდავს და ასუფთავებს ჰაერს, რომელთაც ჩვენ ვსუნთქავთ, რომელშიაც ჩვენ სული გვეხუთებოდა როცა ვისხედით ამ გახრწნილებისა და სულიერ სიბნელეში“.

ასე სწერდა ის დოსტოევსკი, რომელიც ივანე კარამაზოვის პირით გვასწავლის: მთელი მსოფლიოს უმაღლესი ჰარმონია ერთი დატანჯული ბალღის ცრემლებადაც არ ღირსო. ომისა და სისხლის ღვრის მოციქულად გამოდის ის დოსტოევსკი, რომელიც იმავე ივანე კარამაზოვის პირით უარყოფს თვით ცოდნათ სამყაროს, თუ მის საფასურად საჭირო იქნება თუნდაც ერთი ბავშვის ცრემლები.

ასეთი იყო „რუსეთის ისტორიულ მისიაზე“ ამ ორი უდიდესი მწერლის შეხედულება. სანაძლეოს ვდებ, რომ თქვენ ვერ დამისახელებთ ვერც ერთ რუსის მწერალს, თუნდაც სოციალისტი იყოს იგი, რომელიც,— გარდა ლ. ნ. ტოლსტოისა,—იმავე აზრებს არ იზიარებდეს „რუსეთის ისტორიულ მისიაზე“. აბა დამისახელეთ რუსეთში თუნდაც ერთი პოლიტიკური პარტია,—სულ ერთია, სოციალისტური იქნება იგი თუ ნაციონალისტურ-შავრაზმული, — რომელიც ასეთივე აზრის არ ყოფილიყოს ამ საკითხში.

XXV

და თუ ეს ასეა, ერთი მიბრძანეთ, რომელ რუსეთზე ამყარებთ თქვენს იმედებს, როცა სწერთ: „საქართველოს მისი დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში, გარდა სხვა სახელმწიფოებისა, იმედი უნდა ჰქონდეს მოსკოვისაც, როცა ის ბოლშევიკების ბატონობიდან თავს დაიხსნისო?“.

შეიძლება თქვენ კერენსკისა და სკობელევის რუსეთის დახმარების იმედი გაქვთ? შეიძლება იმას ფიქრობთ, რომ თუ რუსეთის მენშევიკები და ესერები კომუნისტებზე გაიმარჯვებენ, ისინი საქართველოს დამოუკიდებლობას დაიცავენო.

მაგრამ კიდეც რომ მოხდეს ეს სასწაული, ნუ თუ ვინმეს ჰგონია, რომ მენშევიკები და ესერები რომელიმე ერს დამოუკიდებლობას მიანიჭებენ. ჩვენ ხომ ჩვენის საკუთარის თვალებით დავინახეთ, რომ ესერებისა და მენშევიკების სოციალიზმიც ისეთივე იმპერიალისტური ბუნების გამოდგა, როგორიც პუშკინისა და დოსტოევსკის იმპერიალიზმი იყო. ჩვენ ხომ დავინახეთ, რომ ესერებისა და მენშევიკების ხელისუფლება ვერ ურიგდებოდა, ის პირდაპირ ებრძოდა როგორც საქართველოს, ისე ყველა სხვა რესპუბლიკების არსებობას ყოფილი რუსეთის იმპერიის ფარგლებში.

როგორც ესერების, ისე მენშევიკების „ნაციონალური თვითგამორკვევა“ თებერვლის რევოლიუციის პირველ დღიდანვე რუსეთის იმპერიის ფარგლებში მობინადრე ერების წინააღმდეგ ბრძოლად გადაიქცა. კერენსკიმ და მისმა მთავრობამ თავისი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა რუსეთის სხვადასხვა ისედაც უუფლებო ერების უფლებათა შეზღუდვით დაიწყო. ის არა თუ რუსეთიდან ცალკე გამოყოფისა და ცალკე რესპუბლიკის დაარსების ხებას არავის აძლევდა, უბრალო კრებებისა და ყრილობების მოწვევის უფლებასაც კი ართმევდა. საკმაოა მოვიგონოთ კერენსკის განკარგულება, რომლითაც მან უკრაინის ხალხს აღუკრძალა კიევში სრულიად უკრაინის სამხედრო ყრილობის მოწვევა.

ამ განკარგულებამ იმ დროს დიდი მითქმა-მოთქმა ასტეხა. უკრაინის გლეხებმა პროტესტი განაცხადეს და მოთხოვნილება წარუდგინეს დროებით მთავრობას კერენსკის უკანონო მოქმედების წინააღმდეგ. კერენსკი კი მოქმედებდა ესერებსა და მენშევიკებთან სრულის შეთანხმებით. **მხოლოდ ლენინმა** აამაღლა ხმა დროებითი მთავრობის ასეთი ხეპრულ ნაბიჯის წინააღმდეგ (იხ. ლენინის თხზულებათა კრებული ტ. XIV, გ. 231—232).

თუ მენშევიკებისა და ესერების მთავრობა ასე მოექცა უკრაინის 27 მილიონ ხალხს, რა ანგარიში უნდა ვაეწია მას საქართველოს 2 ნახ. მილიონი მცხოვრებლებისათვის? ამიტომაც იყო, რომ ჩვენ „ოზაკობა“ არ გვაკმარეს და ცნობილი დონსკოი დაგვინიშნეს სამხედრო კომისართა და, ალბათ, რევოლიუციონურ ჭკუის მასწავლებლად. მაგრამ ყველაზე უფრო კურიოზული იყო დროებითი მთავრობის მიერ საქართველოში შავრაზმული პროფესორი ბენეშევიჩის გამოგზავნა, რომელსაც დაავალა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და მის მაგიერად რევოლიუციის მიერ გაუქმებული „საქართველოს ეგზარხატის“ აღდგენა.

არ უნდა დაგვავიწყდეს ის გარემოებაც, რომ კავკასიის ესერებმა და ჩვენმა ამხანაგებმა **ჩვენთან ერთად მომუშავე რუსმა მენშევიკებმა** არ იცნეს საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობა მას შემდეგაც კი, როცა ამ რესპუბლიკის არსებობა ფაქტი იყო, როცა იგი de facto ცნობილი იქნა ევროპის ყველა დიდ სახელმწიფოების მიერ. კავკასიის ესერების ლიდერების ნაწილი ამის შემდეგ პირდაპირ გადაბარგდა დენიკინის ბანაკში და იქიდან ებრძოდენ საქართველოს დამოუკიდებლობას. მოიგონეთ თუნდა ადგილობრივი რუსის ნაციონალურ საბჭოს მეთაური ლებედევის „მოღვაწეობა“ ჩვენში. ამ ნიადაგზე, როგორც ცნობილია, განხეთქილებაც მოხდა თვით ესერების ცენტრალურ ორგანოში. მომხრეთა რიცხვში დარჩენ ქართველი ესერების ნაწილი და ერთი ორი რუსი ესერი, მოწინააღმდეგეთა რიცხვში თითქმის ყველა არა ქართველი ესერი.

(გაგრძელება ხვალ)

ჟარიბი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

დღეს, 2 ივნისს, დილის 10 საათზე თბილისის კომიტეტის სამდივნოში მოწვეულია

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.

პრეზიდიუმის ყველა წევრთა და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

თბილისის კომიტეტის მდივანი—**კახიანი.**

— ოთხშაბათს, 3 ივნისს, დილის 10 საათზე თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში მოწვეულია

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა.

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის: ფანცულაია, წითლიძე, რონზანი, ფირალოვი, მურადოვი, აკოპოვი, ხუნდაძე, გობეჩია, კიდაიშ, ასრიბეკოვი, ფედეევსკი, მაჩაიძე, ლომაია.

თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება.

— დღეს, 2 ივნისს, საღ. სრულ 5 საათზე რკინის გზის მუშათა ფაკულტეტის ბინაზე (ანდრეევის ქ. № 42) დანიშნულია ლენინის რაიკომის დელეგატ ქალთა მორიგი კრება.

დღის წესრიგი: გეგმის მიხედვით. მოხსენებას გააკეთებს რუსულ-ქართულ ენაზე ამხ. იოვიძე.

ორგანიზატორ და დელეგატ-ქალების თავის დროზე გამოცხადება სავალდებულოა.

— ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 3 ივნისს, საღამოს 5 საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბში შესდგება **არსენალის რაიონის უჯრედთა ბიუროების კონფერენცია.**

დღის წესრიგი: 1. სვანიძის მოხსენება უჯრედთა ბიუროების მუშაობისა და ამოცანების შესახებ.

2. არსენალის რაიკომის ქალთა განყოფილების ანგარიში—მომხსენებელია ამხ. მიხაილოვა.

3. ამხ. მარკაროვის მოხსენება ქართული დივიზიის ტერიტორიალური მშენებლობის შესახებ.

უჯრედთა ბიუროების ყველა წევრების, და აგრეთვე ქვემოჩამოთვლილ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა დ უგვიანებლივ.

1 ერქომაიშვილი, 2. მეძმარიაშვილი, 3. ყვანია, 4. შავერდოვა, 5 გოგუშვილი, 6. კეკელია, 7. კამალოვა, 8. იტრიევი, 9. გავრიში, 10. გეგეჭკორი, 11. გრიშჩენკო რაისა, 12. შირვინსკი, 13. ბელენკი და 14. გეურქოვი.

მდივანის მაგიერ **მელაძე.**

— ს. კ. პ. ც. კ-ტის სააღრ. განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ამხ. ვასილ სიმონისძე ცქიპურიშვილს და გერმანიიდან ჩამოსულ ამხ. ლეშკაშელს შემოვიდნენ ა-კ., პ. ც. კ-ტის სააღრ. განაწ. განყოფილებაში.

— ქალაქის რაიკომის მუშა ქალთა და გლეხ ქალთა განყოფილება იტყობინება რომ დღეს, 2 ივნისს, საღამოს 5 საათზე, მე-71 შრომის სკოლის შენობაში (მოგნინის შესახვევი № 6) შესდგება სადელეგატო კრება.

ქალთა ყველა ორგანიზატორების და დელეგატების თავის დროზე გამოცხადება სავალდებულოა.

— ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 3 ივნისს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის აღმასკომის შენობაში შესდგება რაიონული სადელეგატო კრება უჯრედების მდივნებთან ერთად.

დღის წესრიგი: 1) ტერიტორიალურ ნაწილებში მუშაობის შესახებ (ბლუაშვილი) 2) ანკეტების გარჩევა.

ყველა დელეგატების და გამოწვეული ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

რაიონული კომიტეტის პ|მგ. მდივანი **გ. სტურუა.**

განცხადებები

ღრმად დაწუხრებულნი: შვილები—ალექსანდრე, ვანო, გრიშა, მაკარი, ეკატერინე და ნინა მიხეილის ძენი და ასულნი აუწყებენ, ყველა ნათესავებს და მეგობრებს, რომ 31 მაისს, დილის 4 საათზე უეცრივ გარდაიცვალა მათი საყვარელი მშობელი დედა

ნატალია აფანასიევის ასული რუსიშვილისა

დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს, 3 ივნისს, საღამოს 4 საათზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან, სოლოლაკი, ამაღლების ქ. განაპირა აღმართი, № 15. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

1516 2—1

დედა ელისაბედ გრიგოლის ასული მალიევი, ძმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძე მალიევი თავის სახლობით და ქმარი ანატოლ ნიკოლოზის ძე კალგინი აცნობებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 30 მაისს 2 ნახევ. საათზე დღისით მცხეთაში გარდაიცვალა ძვირფასი და საყვარელი

დარია კონსტანტინეს ასული კალგინისა-მალიევისა (ვედრებისელი)

ასაფლავებენ მცხეთაში, წმინდა ნინოს მონასტერში, სამშაბათს, 2 მაისს 4 საათზე.

№ 1512—1—1

დღეს, 2 ივნისს
კინო-სურათ **სამი სიცოცხლის**
გმირების ლიტერატურული გასამართლება
მონაწილეობას იღებენ თბილისის
საუკეთესო ვექილები
ნაჩვენები იქნება ადგილები სურათიდან
ნის. 1255. 1—1

ს.მ.უ.ს. ს.მ.უ.ს.
„ცენტროტრამოტი“
საზაფხულო სახალხო მიმოსვლა
თბილისი—ვლადიკავკავი
„ კოჯორი
„ მანგლისი
და აგრეთვე ყველა მიმართულებით.
კანტორის მისამართი: პუშკინის ქუჩა № ტელ. 20—96. (ყოფილ თამამშოვის ქარვასლაში) კანტორა ღიაა დილის 7 საათ. საღ. 7 საათ.
0—2 ნ. 1249

„ზაკავტოპრომტორგ“
(ЗАКАВТОПРОМТОРГ)
დაიწყო რეგულარული
ავტო-მიმოსვლა
საქართველოს სამხედრო გზაზე
ბილეთების გაყიდვა და ავტომობილების გასვლა: ყოფ. თამამშევის ქარვასლა (სასახლის ქუჩიდან) დარაგა 1982. ტელ. 10—05
ნ. 1229 3—3

შაბათს, 6 ივნისს, გაიხსნება
პირველი სახალხო
კინო-თეატრი
დადგმული იქნება სეზონის საუკეთესო „სურათები“
ადგილების ფასები: 10, 15 და 25 კაპ.
ვერის დაღმართი, 14.
თვალყური ადევნეთ რეკლამას
ნ. 1—1

ხელოვნების საქმეთა მთავარ[illegible]

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 28 მაისს შესდგა

ვ. სარაჯიშვილის

ძეგლის პროექტის მიმღებ ჟიურის სხდომა. თანახმად ჟიურის დადგენილებისა, წარმოდგენილ პროექტებში, რომლებიც აკმაყოფილებდენ კომისიის მიერ გამოქვეყნებულ საკონკურსო პირობებს, არც ერთი არ იქნა ცნობილი საჭიროდ დამაკმაყოფილებელი. შედარებითი უკეთესი პროექტი სხვათა შორის ცნობილ იქნა მოქანდაკე მიხეილ

ჭიაურელისა

წარმოდგენილ პროექტების ავტორებს ეთხოვთ წაიღონ უკან თავიანთი პროექტები.

2-2 ნ. 1252 **პრეზიდიუმი**

გრძელდება ხელისმოწერა ჟურნალ
„აქტივისტ“-ზე
№ 4--5
საქართველოს ახალ. ლენ. კომუნ. კავშირის ცენტრალურ კომიტეტის ორგანო.

ჟურნალის მიზანია კავშირის აქტივის ფართე მასისათვის პრაქტიკულ-ორგანიზაციულ მუშაობის მასალების მიწოდება, კავშირის ხელმძღვანელობაში აქტივისათვის დახმარების გაწევა, დირექტივების და სახელმძღვანელო განმარტებათა მიწოდება იმ კითხვათა გარშემო, რომელნიც უკვე არიან ან იქნებიან გადაწყვეტილი ცკას და ყრილობების მიერ, ახალი კითხვების წამოყენება, აზრთა ფართე გაცვლა-გამოცვლის წარმოება და კავშირის აქტივის ფართე მასსის ჩამბა მიმდინარე ამოცანების დასახვა-გარკვევაში.

ჟურნალს აქვს შემდეგი მუდმივი განყოფილებანი: 1. კომუნისტური აღზრდის საკითხები, 2. ორგანიზაციული საკითხები, 3. კომკავშირი სოფლად, 4. მოჯამაგირის კუთხე, 5. მუშური და გლეხური ახალგაზრდობის სკოლები, 6. ჯარი და ფლოტი, 7. ჩვენი პრესა, 8. პიონერთა მოძრაობა, 9. ფიზკულტურა, 10. ახალგაზრდობა და ხელოვნება, 11. ახალი ყოფა-ცხოვრება, 12. ადგილების გამოცდილება; 13. აქტივისტის კითხვა-პასუხი, 14. წინადადებათა დაფა, 15. კავშირი საქესთან (ცკ-ს მუშაობა) 16. „აქტივისტის ფოსტა“ და სხ.

ჟურნალში მონაწილეობენ კავშირის ყველა აქტიური ძალები.

ჟურნალის სარედაქციო კოლეგია:
) 1. ვ. დარახველიძე
) 2. ა. კეკელია
) 3. შ. ანდღულაძე.

ფასი წლიურათ 4 მან., ნახევარი წლით 2 მან., 3 თვით 1 მან. 50 კაპ. თვითეული ნომრის ფასი 50 კაპ. წლიური ხელისმომწერლები სარგებლობენ შეღავათით: ხელის მოწერისას იხდიან 2 მან. და თითო მანეთს შემდეგ ორ თვეში.

მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. 20 „აქტივისტი“-ს რედაქცია. ხელის მოწერა მიიღება აგრეთვე საქ. კომპარტიის ცკას გამომცემლობათა პროვინციის კონტრ-აგენტებთან.

ნ. 1254 3—1

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველო აცხადებს,

რომ თანახმად საბჭოთა კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის ბრძანებისა № 7142, **1 ივნისიდან სადგურებზე უქმდება მესამე ზარის მიცემა სამგზავრო მატარებლების გასვლისათვის.**

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცდენად მგზავრებმა უნდა დაიკავონ ადგილები დაუყოვნებლივ მეორე ზარის მიცემის შემდეგ.

4-2 ნ. 1250

ქალ. თბილისის მე-4 რაიონის სახალხო სასამართლოს დადგენილების აღმასრულებელი

აცხადებს, რომ ა.-წ. 12 ივნისს, დღის 12 საათზე, 19 თებერვლის ქ. № 17, პირველ საჯარო ვაჭრობაზე გაიყიდება პორფირე ალექსის ძე თევდორაძის უფლება 13|28 ნაწილზე შემდეგ შენობებში: 1) ორ სართულიანი ქვის სახლი, რომელიც შეიცავს 4 დუქანს, 14 ოთახს, 4 სამზარეულოს, 2 რკინის აივანს ქუჩაზე, სარდაფს და 4 ბოსელს; 2) ერთსართულიანი ქვის სახლი, რომელიც შეიცავს 6 ოთახს და ბოსელს. აღნიშნული უფლება შეფასებულია 2.000 მანეთად, რომელი ფასიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. ამ უფლების ყიდვის მსურველებმა სასამართლოს დადგენილების აღმასრულებელს უნდა წარუდგინონ: 1) საოლქო სასამართლოს ნოტარიალური განყოფილების და კომუნალური განყოფილების ცნობა იმის შესახებ, რომ არც მათ, არც მათ მეუღლეს და არც მათ არასრულწლოვან ბავშვებს ქალ. თბილისში არა აქვთ რაიმე შენობა, და აგრეთვე უნდა მისცენ მას ხელწერილი იმის შესახებ, რომ არც მათ და არც მათი ოჯახების ზემოაღნიშნულ წევრებს არა აქვთ შენობები სხვა რომელიმე ადგილას; 2) შეიტანონ საწინდარი შეფასების 10 პროც. რაოდენობით, დანარჩენი ნაწილი შეტანილი უნდა იქნეს 7 დღის განმავლობაში.

სასამართლოს დადგენილების აღმასრულებელი **პოტემკოვსკი.**

ნის. 1256. 1—1

არ არის უკეთესი
კეფირი, ვიდრე
ო. კორონასი
ლორის მელიქოვის ქ. № 6.
ცნობილია მრავალ სამედიცინო გამოკვლევების დროს **ყველაზე საუკეთესო** კეფირად, როგორც თავისი ღირსებით, ისე დამზადებით, რაც მიღწეულია 45 წლის გამოცდილებისა და დაკვირვების შემდეგ.
ამიტომ ვსთხოვ ყველას, შეადარონ ჩემს ლაბორატორიაში დამზადებული კეფირი სხვა კეფირს.
მსურველთ შეიძლება სახლში მივაწოდოთ ნ. 1106 25—22

დაიკარგა მინდობილობის ბარათი მოცემული ხარაგოულის „ეპო“-ს გამგეობისაგან 19 მაისიდან 1925 წ. № 138 გრიგოლ დარისპანის ძე ლეჟავას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1513 1—1

დაიკარგა ტ. ს. უ. პირადობის მოწმობა, რადიო-სახ. წიგნაკი შალვა მგელაძის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულათ.
1515 1—1

დაიკარგა პირადი წიგნაკი № 621 მოცემული ლეჩხუმის მაზრის ლაილაშის რაიონის სამხედრო მაგიდის გამგისაგან მარკოზ გიგოს ძე ხმელიძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
1517 ა 1—1

დაიკარგა პირადი წიგნაკი ფ. № 4 ნაქალაქევის რაიონის სამხედრო მაგიდის გამგის მიერ მოცემული ივანე მარკოზის ძეს ნიკოლავას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
1517 1—1

დაიკარგა რკინის გზის კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 1906-ით მაკარი ლუკას ძე კოპალეიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1518 1—1

დაიკარგა მეტრიკის ამონაწერი № 1885, რიფსიმე ტერნიკოგოსოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
1519 1—1

დაიკარგა პასპორტი გიგო ქორთიშვილის, მისი ორი შვილის იოსები და არჩილა, და დედის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
1520 1—1

ტირაჟი—21.550

„ზარია ვოსტოკა“ სტამბა. [illegible] ქ. № 4